პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1981 წელი
პარასკევი 14 აგვისტო
№ 187 (18129)
ფასი 2 კაპ.

# პარტიული კრება

ყველი ყოველი საწარმო საუკეთესო უნდა იყოს რესპუბლიკაში, დარგში, ქვეყანაში! — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ამ ინიციატივამ აღიარება პოვა რესპუბლიკის სხვა შრომით კოლექტივებშიც, თავდაპირველად კი მან კომუნისტთა კრებაზე მიიღო ცხოვრების საგზური.

სწორედ კომუნისტთა ბჭობის შედეგად, მარტენის საამქროს ერთ-ერთი პარტიული ჯგუფის კრებაზე იშვა რუსთაველთა შესანიშნავი თაოსნობა „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!". და ვინ მოთვლის, რამდენი კეთილი წამოწყებისა და ინიციატივის ადგილი გამხდარა პარტიული კრება, სადაც კომუნისტთა აზრების, ნებისა და მოქმედების ერთიანობა ყალიბდება.

ხშირად ამბობენ, პარტიული კრება კომუნისტთა აქტიურობის, მათი აღზრდის სკოლააო. და მართლაც, სწორედ აქ, კრებაზე, აზრთა ამხანაგური გაზიარების პირობებში, თითოეული სწავლობს და ეჩვევა ფართოდ, ღრმად, სახელმწიფოებრივად მსჯელობას, იმას, რომ თავისი საწარმოო და საზოგადოებრივი საფიქრალ-საზრუნავი მჭიდროდ დაუკავშიროს ჩვენი პარტიის გეგმებსა და საქმეებს. სწორედ კრებაზე უვითარდება მის თითოეულ მონაწილეს მთელი კოლექტივის მუშაობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობისათვის დამახასიათებელია კომუნისტთა მაღალი აქტიურობა. განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში პირველადი პარტიული ორგანიზაციები შრომით კოლექტივებში ქმნიან შემოქმედებითი ძიებისა და გაკეთებულის კრიტიკული ანალიზის ატმოსფეროს, ღონივრად უწყობენ ხელს ყოველივე ახლის, მოწინავის გავრცელებას. ასეთი აქტიური პოზიცია კიდევ ერთხელ ცხადყო უკანასკნელმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ და ამჟამად მიმდინარე პარტიულმა კრებებმაც, რომლებზედაც რესპუბლიკის კომუნისტები დიდი პასუხისმგებლობით, საქმიანად და ინიციატივიანად განიხილავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის შედეგებს. ისინი კოლექტიური სიბრძნით სახავენ თბილისში საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და მითითებების შესაბამისად თავიანთი კოლექტივების გადაუდებელ საბრძოლო ამოცანებს.

სკკპ XXVI ყრილობამ ახალი იმპულსი მისცა ყოველი პარტიული ორგანიზაციის შემოქმედებითი მოღვაწეობის განვითარებას. ეს კი, უწინარესად, პარტიულ კრებებზე ვლინდება. კრებების მომზადება-ჩატარებისადმი ნამდვილად შემოქმედებითი მიდგომით ხასიათდება თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის საქმიანობა. იგი ფაკულტეტების პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს განსახილველი საკითხების აქტუალობას, განხილვის სიღრმეს, სჯა-ბაასის განსაკუთრებულ საქმიან ტონს. სწორედ იმის გამო, რომ აქ პარტიული კრებების მოწვევისას ყველა კომუნისტის მოსაზრებებს ითვალისწინებენ, და საკითხები კარგად არის დაკავშირებული ინსტიტუტის მთელი კოლექტივის ამოცანებთან, ყოველ კრებაზე მატულობს კამათის მონაწილე კომუნისტთა რიცხვი.

აქტიურობა ხომ, თავის მხრივ, საუკეთესო საზომია იმისა, თუ რამდენად მოფიქრებულია განსახილველი საკითხი, როგორ მოამზადეს იგი, რა ტონი მისცა მოხსენებამ კამათს. მრავალი ფაქტი ნათელყოფს, რომ კრებაზე პასიურობა, ზოგადი გადაწყვეტილების მიღება ხშირად განსახილველი საკითხების ნაჩქარევი შერჩევის შედეგია. ამასთან, სამწუხაროდ, ჯერაც არ აღკვეთილა ფაქტები, როცა პირველადი პარტიული ორგანიზაციები კრების დღის წესრიგს ავსებენ მხოლოდ „ზემოდან" ნაკარნახევი საკითხებით.

ცხოვრება, ჩვენი მუშაობის პრაქტიკა ყოველდღიურად ადასტურებს იმასაც, რომ ყოველი პარტიული კრების ეფექტიანობას დიდად განსაზღვრავს კომუნისტთა მიერ გამოთქმული აზრების, წინადადებების განხორციელების დონე.

ცხინვალის ქარხანა ელექტროვიბრომანქანის პარტიულ ორგანიზაციაში ისე არ გაიმართება კრება, რომ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა არ მისწვდეს მუშაობის რომელიმე უბანს, მონაკვეთს. აქ კომუნისტთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განსახორციელებლად მეტად საყურადღებო გამოცდილება შეიძინეს. ყოველ შენიშვნასა და წინადადებას ოპერატიულად აღრიცხავენ სპეციალურ ჟურნალში, გამოყოფენ შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს, რომელიც შემდეგ პარტიულ კრებას ან პარტბიუროს სხდომას შესრულების მიმდინარეობის თაობაზე მოახსენებს ხოლმე. ასეთი მუშაობით ბოლო ხანს საწარმოში ბევრი რამ მოგვარდა.

როცა პარტიული კრებების მომზადება-გამართვისადმი შემოქმედებით მიდგომაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამ მხრივ მრავალფეროვან საინტერესო ფორმებს. არავითარი მტკიცება არ სჭირდება ღია პარტიული კრებების ხარგებლიანობას. ასეთი კრებები კიდევ უფრო ადუღაბებს მთელს კოლექტივს, თითოეულ კომუნისტსა და უპარტიო მუშაკს რაზმავს საერთო ინტერესებისათვის საბრძოლველად.

ამას წინათ „კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნდა სპეციალური გვერდი ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ერთი მეტად საინტერესო ღია პარტიული კრების შესახებ, რომელზედაც განიხილეს ამ საწარმოსათვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხები, ამასთან განხილვისათვის გამოიყენეს კრების მომზადებისა და გამართვის საყურადღებო სიახლეები. საჭიროა როგორც ეს, ისე ამ მხრივ სხვა მრავალი სასარგებლო გამოცდილება ფართოდ განვაზოგადოთ და გავავრცელოთ.

მაგრამ რა ინიციატივაზე, რა სიახლეებზე შეიძლება ლაპარაკი ისეთ ორგანიზაციებში, სადაც კრებები იშვიათად იმართება, სადაც გაურბიან პრინციპულ კამათს, თვალს არიდებენ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს. რამდენიმე თვის მანძილზე ბორჯომის საწკვებისა და „კურორტვაჭრობის" პარტიულ ორგანიზაციებს „არ გაახსენდათ" ემსჯელათ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხზე, თუმცა დისციპლინისა და მომსახურების წესების დამრღვევთა შორის კომუნისტებიც იყვნენ.

აქტივის ვიწრო წრე ამზადებს პარტიულ კრებებს გალისა და ტყვარჩელის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოებში. და არა მარტო აქ! „შტატიანი ორატორების" პრაქტიკა სხვა ბევრ პარტორგანიზაციასაც ავადმყოფობასავით დაჰყვა. „პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე, — ნამდვილად ეფექტიანი ვერ იქნება, თუ პარტიის წევრები კრებაზე მხოლოდ იმიტომ მოდიან, რომ ისხდნენ გარკვეული დროის განმავლობაში და უსმენდნენ წინასწარ განსაზღვრულ ორატორებს. პარტიული კრება, ისევე როგორც ყოველი პარტიული კომიტეტის პლენუმი, ის ადგილია, სადაც ღრმად, ხერიოზულად უნდა განიხილებოდეს ყველა საჭირბოროტო საკითხი".

სულ მალე, საანგარიშო პერიოდის გასვლასთან დაკავშირებით, გაიმართება წლის მთავარი კრებები. საანგარიშო-საარჩევნო კამპანია დაიწყება პარტიულ ჯგუფებსა და საამქრო ორგანიზაციებში, შემდეგ კი პირველად პარტიულ ორგანიზაციებში გაჩაღდება. თავდათავი საზრუნავი ის არის, რომ ამ კრებებმა ყველგან მაღალ დონეზე, კომუნისტთა დიდი აქტიურობით ჩაიაროს, რომ ჯანსაღი, პირუთვნელი კრიტიკა და თვითკრიტიკა, რაც დღეს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრების ნორმაა, ყველგან დამკვიდრდეს, ღონივრად ავლენდეს და ასწორებდეს ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს, კიდევ უფრო ამაღლებდეს კომუნისტთა თითოეული კოლექტივის ბრძოლისუნარიანობას, განამტკიცებდეს მათს ავტორიტეტს.

საქმეებ გამოარჩინა



თავდადებით იბრძვის მიმდინარე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის მემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ვ. აბზიანიძე ხელმძღვანელობს. ამ კოლექტივმა წელს ოთხი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაამთავრა ვადამდე და მეხუთესაც გრაფიკის საგრძნობი გასწრებით აშენებს. სურათზე: ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) რ. ხმელიძე, ვ. აბზიანიძე (ბრიგადირი), ნ. თათვიძე და ი. ბასილაძე.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

# ისინი შრომის ვახტზე დგანან

● **თბილისის** საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივს მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგებით სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის კომიტეტის გარდამავალი დროშა მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ეს საპატიო ჯილდო კომბინატის კოლექტივმა ზედიზედ 21-ჯერ მოიპოვა.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 131,6 პროცენტით, ხოლო მოგებისა 116,9 პროცენტით შესრულდა. შრომის ნაყოფიერების ზრდამ 114,3 პროცენტს მიაღწია, სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანმა პროდუქციამ წარმოების საერთო მოცულობაში 35 პროცენტი შეადგინა, საწარმოს კოლექტივმა გამოიჩინა მომჭირნეობა, რის შედეგადაც 56 ტონა პირობითი საწვავი და 52.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაიზოგა.

წარმატებები განაპირობა კარგად ორგანიზებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმების სწორმა შერჩევამ, რეზერვების გამოვლენისათვის ბრძოლამ.

**კ. კვიტაიშვილი.**

● **ზესტაფონი** (საკ. კორ.). შორაპნის ელექტროელემენტების კოლექტივი მიმდინარე წელს განსაკუთრებული მონდომებით შრომობს და შედეგსაც სასურველს აღწევს. საგრძნობლად გაზრდილი საწარმოო პროგრამის მიუხედავად, მეელემენტეებმა 7 თვეში გეგმის გადამეტებით მომხმარებელს გათვალისწინებულზე 2 მილიონ 370 ათასი ცალით მეტი ელემენტი მიაწოდეს.

— წარმატების მოპოვებაში შრომის მაღალი ორგანიზაცია, ტექნიკური ხასიათის სიახლეთა დანერგვა და ტექნოლოგიური პროცესების დახვეწა დაგვეხმარა, — თქვა ქარხნის დირექტორმა თ. კაკოჩაშვილმა.

● **ჭიათურა** (საკ. კორ.). მანგანუმის პეროქსიდული კონცენტრატი ქიმიური მრეწველობის დეფიციტური ნედლეულია. მასზე ძალიან დიდი მოთხოვნაა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

წელს კალინინელ მაღაროელებს ბედმა გაუღიმათ. მათ მოუხდათ მუშაობა ისეთ ველებში, სადაც ეს იშვიათი ნედლეული უხვად აღმოჩნდა. ამიტომაც აქედან მომხმარებელმა შვიდ თვეში 1.517 ტონა პეროქსიდული კონცენტრატი მიიღო. ასეთი რაოდენობის ნედლეული კალინინელებს გეგმით ცხრა თვეში უნდა ამოეღოთ.

განსაკუთრებით ქების ღირსია მაღაროთსამმართველოს მამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი, რომლის ხელმძღვანელმა ჯ. სამხარაძემ ბრწყინვალედ მოაწყო შრომის ორგანიზაცია, უზრუნველყო ახალი კონსტრუქციის მამდიდრებელი აგრეგატების მონტაჟი.

ვუმატოთ ტემპს წლის მეორე ნახევარში

# გვირაბი ღრმავდება

**ჭეშმარიტად** შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ახლა როკაში. კავკასიის საავტომობილო გზის მშენებლობაზე ვერ ნახავთ ვერც ერთ ჩამორჩენილ უბანს და ბრიგადას. ანდა, ვინ უნდა იკადროს მაჩანჩალობა და გატეხოს სიტყვა ასეთ დაძაბულ სიტუაციაში. ვალდებულება, რომელიც მშენებლებმა წლის დასაწყისში იკისრეს, რთული, მაგრამ უაღრესად საპატიოა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან გვირაბების შეერთება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდამეოთხე წლისთავისათვის — 7 ნოემბრისათვის უნდა მოხდეს. კიდევ 348 გრძივი მეტრიც და სამხრეთის დიდი და ჩრდილოეთის პატარა გვირაბების მშენებლები დიდ გამარჯვებას იზეიმებენ. გადაიჭრება გვირაბის განიავებასთან და წყლის დაგროვებასთან დაკავშირებული პრობლემები, მოგვარდება შეკუმშული ჰაერითა და ელექტროენერგიით მისი მომარაგების საკითხი. ამით კი მნიშვნელოვნად გაფართოვდება სამუშაოთა ფრონტი, დაჩქარდება შრომის ტემპი. თუმცაღა, მუშაობის ტემპი არც ახლაა დაბალი: 7 თვის გეგმა მშენებლებმა 111,7 პროცენტით შეასრულეს, საგრძნობლად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება და გააუმჯობესეს მუშაობის ხარისხი.

კავკასიის საუღელტეხილო საავტომობილო გზის მშენებლობა მიმდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს. ეს მითითებულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში.

რეალურია თუ არა ეს გეგმა? რა თქმა უნდა, რეალურია. ახლა აქ ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი შრომისათვის. რთული მონაკვეთის სამუშაოთა მოცულობის შესრულებაში მშენებლებს თანამედროვე, დიდმწარმოებლური სამშენებლო ტექნიკა ეხმარება. ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებას კი ხელს უწყობს კარგად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება. შრომით მეტოქეობაში პირველობენ მ. ჯუღელისა და შ. გაჩეჩილაძის უბნები, შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ მებეტონეთა ბრიგადები, რომლებსაც ლ. გაგუა, ქ. ხეცურიანი და ს. შერმადინი ხელმძღვანელობენ. მებეტონეებს არც თ. მაჭავარიანისა და გ. ბერძენიშვილის მემონტაჟეთა ბრიგადები ჩამორჩებიან. თავდადებული შრომით ყველას პატივისცემა მოიპოვეს მებულდოზერეებმა — მამა-შვილმა ილია და როლანდ ჯავახიშვილებმა.

სიახლისე შემოიტანეს მშენებლობაზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტებმაც. მინდობილი საქმისთვის დიდი პასუხისმგებლობით მომავალმა სამთოელმა ინჟინრებმა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეს. ისინი ბეტონის ჩასხმასა და გვირაბის გაყვანაზე მუშაობენ და დავალებას პირნათლად ასრულებენ.

შეხმატკბილებული, კეთილსინდისიერი შრომით საშვილიშვილო საქმე კეთდება. გაჰყავთ გზა, რომელიც საქართველოს უგრძესი საავტომობილო გვირაბით იმიერკავკასიასთან დააკავშირებს.

**გ. თედეევი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# მთაში მწყემსებთან...

**მაიაკოვსკის** რაიონში, ცამდე აწვდილ მთებს და გორაკებს შორის, ზღვის დონიდან 2500 მეტრზე გაშლილა „წითელი მინდორი", საიდანაც კარგად მოჩანს ადიგენის რაიონის სანახები, აბასთუმანი, მისი საქვეყნოდ განთქმული ობსერვატორია.

სწორედ ამ მინდორზეა დაბანაკებული მაიაკოვსკის, ზესტაფონისა და სხვა რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობების მეცხოველეობის ფერმები, აქაური ბალახი მეცხოველეებს საშუალებას აძლევს მთელი ზაფხული მთის იალაღებზე ჰყავდეთ და კარგად გამოკვებონ პირუტყვი, აწარმოონ მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქტები.

სასურსათო პროგრამის, უდავოდ, უმნიშვნელოვანესი ნაწილია მეცხოველეობა. მისი განვითარებისათვის იბრძვიან მაიაკოვსკელი მეცხოველეები და შედეგებიც ურიგო როდია.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ყოველწლიურად იზრდება პირუტყვის სულადობა. მეცხოველეობის ფერმებში ახლა 5258 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია. ეს 408 სულით აღემატება საგეგმოს. მეტია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებითაც. ღორის მოშენების დავალება 132 პროცენტით შესრულდა, შარშანდელთან შედარებით ღორის სულადობა 180-ით გაიზარდა. წლეულს 6 თვეში მიღებულია 624 ხბო და 1926 გოჭი. შარშანდელთან შედარებით ხბორების მიღება 65-ით, ხოლო გოჭებისა 77 სულით გაიზარდა.

დიდი ყურადღება ეთმობა საკვების მოპოვებას. წარმატებით შესრულდა სენაჟის დამზადების დავალება. უკვე ჩადებულია 3004 ტონა სენაჟი. დამკვრელურად მიმდინარეობს თივისა და სილოსის დამზადება. შარშანდელთან შედარებით უკვე დამზადებულია 117 ტონით მეტი თივა, ხოლო სასილოსე სიმინდის 700 ჰექტარ ყანას კარგი პირი უჩანს. სანიმუშოდ მუშაობენ მეცხოველეები გ. ჭელიძე (დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობა), რ. კოჩაძე (ფერსათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა), ვ. გიორგაძე (ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა), ბ. კვეტენაძე (დიმის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობა) და სხვები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხანს საზაფხულო საძოვრებზე მოძალდა სარეველა ბალახი. სწორედ ამიტომ რაიონის ხელმძღვანელობამ საზოგადოებრივი მეურნეობებიდან ორასამდე მთიბავი გაგზავნა მეცხოველეთა დასახმარებლად. ნაყოფიერად უმუშავიათ მთიბავებს, სარეველები ძირშივე ამოუძირკვავთ და სათანადო ღონისძიებაც განუხორციელებიათ საძოვრების გაკულტურებისათვის.

ამას წინათ ავტომანქანების კოლონა „წითელ მინდორზე" გაემართა. კოლონაში იყვნენ სამედიცინო სამსახურის მუშაკები, ლექტორები, მხატვრული თვითმოქმედების, რაიონების ხელმძღვანელი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მათ მწყემსებსა და მეცხოველეობის დარგის მუშაკებს წაუკითხეს ლექციები და ესაუბრნენ. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა გაუმართეს კონცერტები.

**დ. გედენიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# საკვები, ისევ საკვები!

**ამ დევიზით** შრომობენ ახლა ერედვის საბჭოთა მეურნეობაში. ლ. ი. ბრეჟნევმა ახალ ხუთწლედს საკვების ხუთწლედი უწოდა და ამ დიდი ამოცანის შესრულებაში ჩვენც გარკვეული წვლილი უნდა შევიტანოთ. საკვების დამზადება კარგად მიმდინარეობს. საკვებმომპოვებლებს მუშა-მოსამსახურეებიც ეხმარებიან. გადავწყვიტეთ შარშანდელთან შედარებით 10-12 პროცენტით გავადიდოთ ხორცისა და რძის წარმოება. ამიტომ ჩვენი ამოცანაა თითოეულ სულ პირუტყვს 16 ცენტნერის ნაცვლად სულ ცოტა 20-21 ცენტნერი საკვები ერთეული დავუმზადოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ შემცირდება წველადობა, წლის ყოველ დროს ნორმალურად გასუქდება პირუტყვი. საკვების დასამზადებლად მეურნეობას აქვს საამისო რეზერვები. 221 ჰექტარი მრავალწლოვანი ბალახები გვითესია. აქედან 100 ჰექტარი სასენაჟედ გაითიბა. გარდა ამისა, სასენაჟედ ავიღეთ 49 ჰექტარი შუალედური კულტურის — ჭვავისა და ქერის მწვანე მასა და დავამზადეთ 1700 ტონა სენაჟი და 50 ტონა თივის ფქვილი. კიდევ დავამზადებთ 500 ტონა სენაჟს. სასილოსედ დათესილი გვაქვს 5 ჰექტარი სიმინდი და ერთწლოვანი ბალახები. ნათესებიდან უხვ მწვანე მასას მოველით. ჩავდებთ 500-მდე ტონა სილოსს. ას ჰექტარ ნათეს ბალახს მალე მეორედ გავთიბავთ, იმედია, ამ სამუშაოს დროულად მოვრჩებით.

შრომის დამატებითმა ანაზღაურებამ მოსავლის აღებისა და ნამჯის დროულად გამოზიდვის საქმეში დიდი კარგი საქმე გააკეთა. საკუთარი პირუტყვის გამოსაკვებად გამრჯე მექანიზატორებს 50 ტონა ნამჯა ერგოთ პრემიის სახით. გარდა ამისა, თითოეულს სახელმწიფო ფასებში 500 კილოგრამი მარცვალი მივყიდეთ. თავდადებით შრომობდნენ ავტომანქანების მძღოლები. ისინი თვითონ აგროვებდნენ და წნეხავდნენ ნამჯას.

წარმატებანი საკვების დამზადების კამპანიაში სათანადო ორგანიზატორული მუშაობის შედეგია. 1981 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების და 1981-1982 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებათა შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების, აგრეთვე მეურნეობაში შემუშავებული კონკრეტული ღონისძიებების შესაბამისად დავაწესეთ სხვადასხვა ფორმის დამატებითი ანაზღაურება და პრემია. მარტო სენაჟის დამზადებაში აქტიური მონაწილეობისა და ბალახის უდანაკარგოდ შეგროვებისათვის მექანიზებულ რგოლებს ჯილდოს სახით მიეცემათ 100-100 მანეთი; სამი საწარმოო ბრიგადის წევრები, რომლებმაც საუკეთესოდ მოუარეს საკვებ კულტურებს და უზრუნველყვეს უხვი მოსავლის მიღება, პრემიის სახით თითო თვის ხელფასს მიიღებენ.

ყველა პირობას შევქმნით, რომ საზოგადოებრივმა პირუტყვმა მაძღრისად გამოიზამთროს, იმატოს პროდუქტიულობამ. ახლა ჩვენი პირუტყვი იალაღებზეა. და იქ კარგი მოვლით მატულობს წველადობა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითოეულ ფურზე 100 კილოგრამით მეტი რძეა მიღებული. ჩვენი პირობაა საოქტომბრო დღესასწაულისათვის ვუპატაკოთ სამობლოს წველადობის წლიური გეგმის შესრულება.

**გ. ხადური,**
ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

სუსხიანი სტრიქონები

# თუმცა მშენებლობა ახლახან დაიწყო...

**ათი** წლის წინათ გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში მშენებარე მეფრინველეობის ფაბრიკას ხალხმა გიგანტური მშენებლობა უწოდა და ასეც იყო. მაშინ რესპუბლიკაში სამრეწველო მეფრინველეობა პირველ ნაბიჯებს დგამდა და ფაბრიკის საპროექტო სიმძლავრე — წელიწადში 42 მილიონი ცალი კვერცხი და 800 ტონა ხორცი—გვაოცებდა.

დიახ, ათი წელი გავიდა მას შემდეგ. ამ ხნის მანძილზე კი საქართველოში არა ერთი და ორი მეფრინველეობის კომპლექსი აიგო, მაგრამ ისეთი, დღეს რომ კასპის რაიონის სოფელ მირიანის მახლობლად აშენებენ, ჯერჯერობით უბადლოა. ფაბრიკამ წელიწადში 30 მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა გამოუშვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი მეჯვრისხევის საწარმოზე 5-6-ჯერ უფრო მძლავრი იქნება. მომხმარებელი წელიწადში აქედან 11.445 ტონა ხორცს, 20 მილიონამდე კვერცხსა და 62 ათას ტონა ორგანულ სასუქს მიიღებს.

ეს იქნება 219 ჰექტარზე გადაჭიმული, მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი მეფრინველეობის კომპლექსი. მომავალი საწარმოს 32 ინკუბატორიდან თითოეული 90 ათას ცალ კვერცხს დაიტევს, ხოლო 31 საფრინველეში 1.674 ათასი ბროილერი მოთავსდება. აქ იმუშავებენ კომბინირებული საკვების გადამუშავებისა და სასაკლაო საამქროები, ეს უკანასკნელი — საათში 6000 ფრთა ბროილერის გამტარუნარიანობისა იქნება. აშენდება სხვა დამხმარე ნაგებობებიც.

მეფრინველეობის ფაბრიკა პატარა ქალაქსაც წარმოშობს. მუშა-მოსამსახურეთათვის აშენდება საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და კულტურული დანიშნულების ობიექტები.

მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. გაკეთდა მისასვლელი გზები, მოშანდაკდა ნიადაგი, აიგო რკინაბეტონის ქარხანა და ინერტული მასალების სამსხვრევები. ყოველივე ამას ერთი წელი დასჭირდა. ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გეოლოგებმა არცთუ გულდასმით შეარჩიეს მშენებლობისათვის ფართობები (თვალი მაინცდამაინც მცოცავგრუნტიან მიწებს დაადგეს!). ამან პროექტშივე ნაგებობათა იძულებითი გადაადგილებანი გამოიწვია...

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის 76-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსი გ. გოჩელეიშვილი და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მშენებარე საწარმოთა გაერთიანებული დირექციის კასპის ზონალური სამმართველოს უფროსი თ. ტუხიაშვილი ერთი აზრისანი არიან: მშენებლობის ტემპი ჩამორჩა. განვლილ 7 თვეში მილიონ 640 ათასი მანეთის ნაცვლად ათვისებულია მილიონ 600 ათასი მანეთი, წლიური გეგმა კი სამი მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებს. მშენებლობის შემდგომი ეტაპები დაფინანსების მხრივ ახლო მომავალში ლამის გეომეტრიული პროგრესიით უნდა გაიზარდოს, და ადვილი მისახვედრია, რა საშიშროება შეიძლება შეიქმნას, თუ ამთავითვე არ განმტკიცდა შრომის ორგანიზაცია და საშემსრულებლო დისციპლინა, კონტროლი და მომკითხველობა.

მშენებლობის ნელი ტემპის „თანაავტორებად" გარკვეულწილად მომწოდებელი ორგანიზაციებიც გვევლინებიან. მარნეულის რკინაბეტონის ქარხნიდან (დირექტორი — რ. გოგისვანიძე) ივნისში 18 მეტრი სიგრძის რკინა-ბეტონის 30 ცალი ფერმა უნდა შემოეტანათ. 23 ივნისისათვის ობიექტს მხოლოდ 10 ფერმა ჰქონდა მიღებული. საფრინველეები ფერმებით რომ ვერ გადახურეს, მუშები იძულებული გახდნენ კოლონებზე ჯერ საკედლე პანელები დაეკიდათ და ამით მშენებლობის ტექნოლოგია დაერღვიათ.

ლილოს რკინაბეტონის ქარხანას (დირექტორი — ზ. სიხარულიძე) დღემდე არ შემოუზიდავს გადასახურავი ფილები, თუმცა მარტო ივნისში 200 ცალი ფილა უნდა გამოეგზავნა.

მშენებლობაზე ასეთი ფაქტის მოწმენიც გავხდით: სასოფლო მშენებლობის სამინისტროს „სოფლმშენინდუსტრიის" ტრესტის სამმართველოს კომბინატში გაგზავნეს სატვირთო ავტომანქანა რკინაბეტონის კოლონების ჩამოსატანად. მანქანა დაიტვირთა და ის იყო, უკან ბრუნდებოდა, რომ ვიღაცის ბრძანებით ტვირთი ისევ გადმოიღეს. მშენებლების „დასამშვიდებლად" მძღოლს მინდობილობის ფურცელზე დაუწერეს, კოლონები არ გვაქვსო. გაცდა სამუშაო დღე — იზარალა მშენებლობამ. ახლა ზარალი ცარიელი გარბენისათვის?

რაკი ტრანსპორტი ვახსენეთ, მის შესახებაც ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას. უპირველესად ის, რომ მანქანები ძირითადად გორის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებიდან დადიან — 50 კილომეტრზე მარტო ერთი მიმართულებით. ასე რომ, ერთი ავტომანქანა დღეში 100 კილომეტრ უქმ გარბენს აკეთებს. საქმისადმი ასეთ მიდგომას ყაირათიანს, გერგილიანს ვერ უწოდებ. თუ ნათქვამს იმასაც დავუმატებთ, რომ ტრანსპორტი მთელი ხუთი წლის მანძილზე უნდა ემსახუროს მშენებლობას, მივიღებთ უყაირათოდ დახარჯულ საწვავ-საპოხი მასალების საკმაოდ სოლიდურ ციფრს. ხომ არ დადგა დრო, რომ ზემდგომმა სატრანსპორტო ორგანოებმა მოიფიქრონ მშენებლობაზე ტრანსპორტის რაციონალური გამოყენების ოპტიმალური ფორმები? ეტყობა, ეს საკითხი უკვე დღის წესრიგშია შესატანი. მიდიდა, ნუ შეიტან! უკანასკნელი ოთხი თვის ტვირთზიდვის გეგმა 26,6 ათას ტონას ითვალისწინებდა, ფაქტობრივმა მაჩვენებელმა კი 9,5 ათას ტონასაც ვერ მიაღწია.

მეფრინველეობის ფაბრიკის პირველი რიგის — 20 მილიონი მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სამუშაოები — 1983 წლისათვის უნდა დამთავრდეს. უახლესი სამამულო და უცხოური წარმოების 5 მილიონი მანეთის მანქანა-დანადგარებმა კი ფაბრიკაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონე უნდა უზრუნველყონ.

ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ დავძენთ, რომ აქვე, ნოსტეს საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკაში 60-მდე კაცი მუშაობს და ისინი 50 ათას ფრთა ქათამს „ელოლიავებიან", კასპის მეფრინველეობის ფაბრიკაში კი მარტო ერთი მეფრინველე-ოპერატორი 54 ათას ფრთა ქათამს მოუვლის.

ჯერჯერობით მშენებლობაზე 300-მდე კაცია დასაქმებული. მაგრამ იმის გამო, რომ სამუშაო დისციპლინის განმტკიცებისათვის ნაკლებად ზრუნავენ, ერთობ დიდია მუშების სამუშაოზე გამოუსვლელობის პროცენტი. ახლა, როცა სამუშაო ფრონტი გაფართოვდა, მუშახელის ნაკლებობა კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობა. ობიექტს შეუძლია დამატებით 100 კაცი მიიღოს, მაგრამ აქეთ წამოსვლას არ ჩქარობენ. სამაგიეროდ აქედან სხვადასხვა ინსტანციაში ყოველდღიურად გზავნიან თხოვნის წერილებს, არიქა, ხალხი მოგვაშველეთო. რატომ გაურბიან დამკვრელურ სამშენებლო ობიექტს? — ელემენტარული სამუშაო პირობების უქონლობის გამო!

მართლაც, ძნელია დილიდან საღამომდე ამ თაკარა სიცხეში მუშაობდე და სასმელი წყალიც არ გქონდეს, მარტივი საშხაპეც გენატრებოდეს. მუშათა სასადილოზე მხოლოდ ახლა დაუწყიათ ზრუნვა. მუშებს არა აქვთ სპეცტანსაცმელი, აკლიათ სამუშაო ინსტრუმენტები. მუშები ცუდ სამუშაო-საყოფაცხოვრებო პირობებს უჩივიან, მშენებლობის თავკაცები — მუშახელის ნაკლებობას. არადა, პირველის მოგვარება თავისთავად მეორე საკითხის მოგვარებასაც ნიშნავს.

კასპის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის სწრაფი ტემპის უზრუნველყოფისათვის, მისი ვადამდე ამოქმედებისათვის ენერგიული ბრძოლა მშენებელთა მთელი კოლექტივის მოთხოვნილებად უნდა გადაიქცეს.

**გ. ვაშაკიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# ჩაის პლანტაციებში

ჩაის ნედლეულის დამზადება 13 აგვისტოსათვის (ტონობით)

| ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები | მოკრეფილი 1980 წლის ამ რიცხვისათვის | 1981 წლის ამ რიცხვისათვის მოკრეფილია | + — |
|---|---|---|---|
| ხელვაჩაურის | 15177 | 16121 | + 944 |
| ქობულეთის | 32861 | 33040 | + 179 |
| ქედის | 749 | 1060 | + 311 |
| სულ აჭარაში | 48787 | 50221 | + 1434 |
| გალის | 34318 | 34285 | — 33 |
| ოჩამჩირის | 25007 | 25757 | + 750 |
| სოხუმის | 575 | 576 | + 1 |
| გულრიფშის | 1984 | 2228 | + 244 |
| გუდაუთის | 4495 | 5501 | + 1006 |
| სულ აფხაზეთში | 66369 | 68347 | + 1978 |
| მახარაძის | 66810 | 68146 | + 1336 |
| ჩოხატაურის | 9376 | 10402 | + 1026 |
| ლანჩხუთის | 18076 | 19384 | + 1308 |
| სამტრედიის | 2282 | 2387 | + 105 |
| წულუკიძის | 7044 | 7761 | + 717 |
| წყალტუბოს ზონა | 8911 | 9234 | + 323 |
| ტყიბულის ზონა | 8707 | 8000 | — 707 |
| ცხაკაიას | 9216 | 9263 | + 47 |
| აბაშის | 560 | 731 | + 171 |
| გეგეჭკორის | 18997 | 19048 | + 51 |
| ზუგდიდის | 47639 | 47700 | + 61 |
| წალენჯიხის | 22725 | 23211 | + 486 |
| ჩხოროწყუს | 17540 | 17873 | + 333 |
| ხობის | 7857 | 8249 | + 392 |
| თერჯოლის | 942 | 1044 | + 102 |
| ჭიათურის ზონა | 829 | 1124 | + 295 |
| ვანის | 684 | 783 | + 99 |
| სულ საქართველოს სსრ-ში | 363361 | 372906 | 9.545 |

# სოფლის ახალი ამბები

**ტყიბული.** ქალაქის ზონის მეურნეობებში დაიწყო კურკოვანი ხილის მასობრივი დამზადება. მოსავალი კარგია მოწეული. ხილის პირველი პარტიები უკვე გაეგზავნათ რესპუბლიკის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშრომელებს, საბჭოეთის სხვადასხვა ქალაქს.

**ონი.** დაეხმარონ სოფლის მშრომელებს საკვების დამზადებაში,— ასეთი ინიციატივა გამოიჩინეს რაიონის სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა. დამკვრელურად შრომობენ ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს მუშები, რომლებმაც გადაწყვიტეს 75 ტონა თივა დაამზადონ. (საქინფორმი).

# პური — სახელმწიფოს

**ალთობის** ფრონტმა ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონებისაკენ გადაინაცვლა: განვლილ კვირაში მკას შეუდგნენ ალტაის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის, ჩრდილოეთ ყაზახეთის ზოგიერთი ოლქის მეურნეობები.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით მთლიანად ქვეყანაში მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები 10 აგვისტოსათვის აღებულია 57,2 მილიონ ჰექტარზე. ეს გეგმის 48 პროცენტს შეადგენს. პური გალეწილია მომკილი ფართობის 93 პროცენტზე. (საკდესის კორ.).

# სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი

# ახლებურად მუშაობის ორიენტირი

## შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული მეთოდი

**შრომის** ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმა ახალი არ არის. იგი ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან იყო ცნობილი და ომის შემდგომ პერიოდში შედარებით ფართოდ გავრცელდა ქვანახშირის მრეწველობაში, მანქანათმშენებლობასა და ქიმიურ მრეწველობაში. შრომის ორგანიზაციის ბრიგადულმა ფორმამ დაამტკიცა თავისი უპირატესობა ინდივიდუალურთან შედარებით.

შრომის ინდივიდუალური ანაზღაურების დროს ყველა მუშა ცალ-ცალკე ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სამუშაო პროცესი შეასრულოს. ეს ერთი შეხედვით თითქოს კარგია, მაღლდება თითოეული მუშის მწარმოებლურობა, მაგრამ საბოლოო შედეგი — რაც მზა პროდუქციის გამოშვებაში უნდა გამოიხატოს — დაბალია, რადგან იქმნება შეუთანხმებლობა, დისპროპორციები.

შრომის ბრიგადული ორგანიზაციის ფორმა თავიდან გვაცილებს ასეთ შეუსაბამობებს, რადგან კოლექტივის ყველა წევრი დაინტერესებულია მხოლოდ საბოლოო შედეგით — პროდუქციის გამოშვების ოდენობით.

შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა გამორიცხავს ინდივიდუალურ შრომის ანაზღაურებაში გაბატონებულ პრინციპს — „თითოეული თავისთვის“ და იძლევა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უფრო მეტ გარანტიას. თანამედროვე ეტაპზე თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა კოლექტივის წინაშე და თითოეული მუშაკისადმი უფრო და უფრო იქცევა ცხოვრების სოციალისტური წესის განუყოფელ თვისებად. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა: „ჩვენ ვიმუშავებთ, რათა მასების შეგნებაში, ჩვეულებაში, ყოველდღიურ საქმიანობაში დავნერგოთ წესი „ყველა — ერთისათვის და ერთი ყველასათვის“.

თანამედროვე წარმოება მოითხოვს, რომ თითოეულ მუშას ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი თავისი ადგილი შრომის პროცესში, იცოდეს რას და რისთვის აკეთებს, რა არის მასზე დამოკიდებული, გრძნობდეს, რომ მისი შრომა საერთო მუშაობის აუცილებელი ნაწილია.

შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა თბილისის კონიაკის კომბინატში ჯერ კიდევ 1965 წელს დაინერგა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ჩვენს მიერ განხორციელებულ ღონისძიებას შრომის ორგანიზაციის დახვეწისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის თვალსაზრისით ისეთი შედეგი არ მოუცია, როგორც ბრიგადულ ფორმას. საგრძნობლად შემსუბუქდა თვით ეკონომიკური სამსახურის მუშაკთა მუშაობაც. ბრიგადის ყოველმა წევრმა გაიგო, რომ მისი ხელფასი დამოკიდებულია მთლიანად ბრიგადის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე და იცის, რომ რაც უფრო ნაკლები მუშახელი შეასრულებს მას, მით მეტია მისი გამომუშავება. მოწინავე საწარმოთა გამოცდილებამ ცხადყო, რომ შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების ბრიგადული ფორმა სასარგებლოა როგორც თითოეული ბრიგადის წევრისათვის, ასევე საწარმოსათვის და სახელმწიფოსათვის.

კალუგის ტურბინის ქარხანაში, მაგალითად, ბრიგადულ ფორმაზე გადასვლის შემდეგ მეათე ხუთწლედის განმავლობაში კადრების დენადობა 11,2 პროცენტიდან 4,8 პროცენტამდე შემცირდა; შრომის ნაყოფიერება კი 44 პროცენტით გაიზარდა.

შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების შემდგომი სრულყოფისა და განვითარების საკითხს, რომელიც წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების მნიშვნელოვან რეზერვს მოიცავს, დღეისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ საკითხის მაღალ დონეზე გადაჭრის მოთხოვნა გამომდინარეობს მეურნეობის გაძღოლის მექანიზმის სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის ცნობილ დადგენილებიდან, სადაც ნათქვამია, რომ სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის ფართოდ განვითარების ღონისძიებანი, ამასთან გაითვალისწინონ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში ეს ფორმა ძირითადი უნდა გახდეს.

ლაპარაკია როგორც ბრიგადული ფორმის განვითარებაზე, ისე მის ახლებურ ფორმაზე, რომლის თანახმად ბრიგადის თითოეულ წევრს მიეცემა გასამრჯელო მუშაობის საერთო შედეგებში შეტანილი რეალური წვლილის გათვალისწინებით.

როგორ უნდა განისაზღვროს ეს რეალური წვლილი? ბრიგადის თითოეული წევრის მუშაობის საერთო შედეგებში შეტანილი რეალური წვლილის დადგენა მოხდება შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებით. ასეთი მიდგომა გამორიცხავს დღეისათვის არსებული ბრიგადული ფორმის ისეთ დამახასიათებელ ნაკლს, როგორიც არის მაღალი პროფესიული ოსტატობისა და საშემსრულებლო დისციპლინის მქონე ბრიგადის წევრის გათანაბრება იგივე თანრიგის, მაგრამ შედარებით დაბალი ოსტატობისა და საშემსრულებლო დისციპლინის მქონე პირთან. სოციალიზმის დროს, როგორც ცნობილია, განაწილების მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს მხოლოდ შრომა — მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ეს პრინციპი შეუთავსებელია გათანაბრებასთან. განაწილების სრულყოფა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი წყაროა. სწორედ ამიტომ არის, რომ ის ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

ჩვენ გახლდით კალუგაში საკავშირო სემინარზე, რომელიც მიეძღვნა კალუგის სურნელოვანი წყლების კომბინატის ბრიგადული ორგანიზაციის ფორმის გამოცდილების გაზიარებას. მოვისმინეთ ამ საკითხზე ხელმძღვანელი კომპეტენტური პირების მოხსენებები, უშუალოდ ვესაუბრეთ ბრიგადირებს, ბრიგადის წევრებს და თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეიმჩნეოდა ფორმალიზმი, მაინც საბოლოო ჯამში ეს ფორმა სათანადო დონეზეა დანერგილი.

რას გვაძლევს შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა? შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმა ზრდის შრომის ნაყოფიერებას და პროდუქციის ხარისხს, ამცირებს პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიურ ციკლს, ხელს უწყობს საწარმოო დავალების ნაკლები მუშახელით შესრულებას. მუშათა კოლექტივი მონაწილეობს წარმოების მართვაში, ზრდის თითოეული მუშის პასუხისმგებლობას მთელი კოლექტივის წინაშე, ხელს უწყობს პროფესიული ოსტატობის ამაღლებას, ამტკიცებს საწარმოო და ტექნოლოგიურ დისციპლინას, ამცირებს კადრების დენადობას.

რა არის საჭირო ახლებურ ბრიგადულ ფორმაზე გადასასვლელად?

ამისათვის საჭიროა მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც დაადგენს ბრიგადის რაციონალურ საზღვრებს, ბრიგადის წევრთა რაოდენობას. საჭიროა შემუშავდეს დებულება ბრიგადისა და ბრიგადირთა საბჭოებზე შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების შესახებ. უნდა განვუმარტოთ მუშებს მუშაობის ბრიგადული ფორმის უპირატესობა, დადგინდეს თითოეული ბრიგადისათვის ტექნიკურად დასაბუთებული კომპლექსური გამომუშავების ნორმები.

ბრიგადა შეიძლება იყოს კომპლექსური, სპეციალიზებული და გამჭოლი. კომპლექსური ბრიგადა იქმნება სხვადასხვა პროფესიის მუშებისაგან, განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად, რომელიც მოიცავს პროდუქციის წარმოების სრულ ციკლს ან მის დამთავრებულ ნაწილს. კომპლექსური ბრიგადის ყველა წევრი, როგორც წესი, უნდა ფლობდეს მომიჯნავე პროფესიას. სპეციალიზირებული ბრიგადა ძირითადად აერთიანებს იმ მუშებს, რომლებიც ასრულებენ ერთნაირი სახეობის ტექნოლოგიურ პროცესებს, ხოლო გამჭოლი ბრიგადა იქმნება სხვადასხვა ცვლის მუშებისაგან. ასეთი სახის ბრიგადები უმეტესწილად გვხვდება სამთომადნო მრეწველობაში. მეღვინეობის დარგში ასეთ ბრიგადებს მიეკუთვნება საკონიაკე სპირტისა და ნედლი სპირტის გამოხდაზე დასაქმებული ბრიგადებიც. ბრიგადის შემადგენლობა, როგორც წესი, უნდა იყოს არანაკლებ 10 კაცისა.

ბრიგადის მთელი ხელფასი შედგება სანარდო გამომუშავებისაგან და პრემიისაგან, რომელიც დაერიცხა მას თანახმად დებულებისა და აგრეთვე კოლექტიური დანამატისაგან პროფესიათა შეთავსებისათვის. ამ ხელფასის თანაბრად განაწილების შემთხვევაში შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი პირობითად უთანაბრდება „ერთს“. შრომითი კოეფიციენტი „ერთს“ ზევით უდგინდებათ იმ მუშებს, რომლებიც გამოიჩენენ ინიციატივას ბრიგადის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაში, მიაღწევენ სხვებთან შედარებით უფრო მაღალ შრომის ნაყოფიერებას და გააუმჯობესებენ მუშაობის ხარისხს. შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი „ერთს“ ქვევით უწესდებათ შედარებით დაბალი მწარმოებლური და არახარისხიანად მომუშავე მუშებს.

მაქსიმალური შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს ორს, ხოლო მინიმალური კოეფიციენტი შეიძლება იყოს ნული. ამ შემთხვევაში მუშას არ დაერიცხება არა თუ ნორმის გადაჭარბების საზღაური, არამედ პრემიაც და ხელფასს ბრიგადის სხვა წევრებთან შედარებით საგრძნობლად ნაკლებს მიიღებს. ყოველივე ეს აიძულებს მუშას აიმაღლოს კვალიფიკაცია და საბოლოო ჯამში მიაღწიოს მაღალ მწარმოებლურ შრომას.

**ა. იაშვილი,**
კონიაკის კომბინატის საგეგმო განყოფილების უფროსი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

# კონტროლზეა მკითხველთა წერილები

**გაზეთ** „კომუნისტის“ რედაქციაში შემოვიდა თბილისელი მ. ბაჩილავას წერილი, რომელიც ეხებოდა გეგეჭკორის ავტოსადგურის მუშაკებისა და თბილისის მე-3 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლების უტაქტო მოქმედებას და უყურადღებობას მგზავრთა მიმართ...

ამის თაობაზე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ა. გოშაძე რედაქციას ატყობინებს:

მ. ბაჩილავას წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. თბილისის მე-3 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლებს ვ. პაპავაძესა და ბ. ბაბაევს სათანადო ბრძანებით გამოეცხადათ სასტიკი საყვედური.

ცხაკაიას საკვანძო-სამგზავრო ავტოსადგურის უფროსის 12 ივნისის 54-ე ბრძანებით სამსახურებრივი მოვალეობის უპასუხისმგებლოდ შესრულებისათვის, რაც გამოიხატა ავტობუსში უბილეთო მგზავრის შეშვებით, გეგეჭკორის ავტოსადგურის კონტროლიორები ე. გაბისონია და ს. ბირკაია გათავისუფლდნენ სამუშაოდან, მოლარეს ა. თოფურიას კი გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამგზავრო ავტოსადგურების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მიმდინარე წლის 26 ივნისის 301-ე ბრძანებით გეგეჭკორის ავტოსადგურის უფროსს მ. ჭყვებენავას ავტოსადგურის მუშაკების მიმართ სათანადო მომთხოვნელობის შესუსტებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ამავე ბრძანებით ცხაკაიას საკვანძო-სამგზავრო ავტოსადგურის უფროსს ლ. მხეიძეს კვანძისადმი დაქვემდებარებული ავტოსადგურების მუშაობაში არსებული დარღვევებისა და კონტროლის მოდუნებისათვის მიეცა შენიშვნა. მასვე დაევალა გააძლიეროს ავტოსადგურებს თანამშრომელთა მიმართ მომთხოვნელობა, განამტკიცოს საშემსრულებლო დისციპლინა და გააუმჯობესოს მგზავრთა კულტურული მომსახურება.

**ჩვენი** ეზო კაცს გარაჟი ეგონება: კერძო ავტომანქანების პატრონებმა დაინაწილეს მიწა და შემოღობეს. ბავშვებს კი სათამაშო ადგილი აღარ დარჩათ, — სწერდნენ რედაქციას დედაქალაქის ილორის ქუჩის მცხოვრებნი გ. ბერიძე, ვ. ანთიძე და სხვები.

წერილი ზომების მისაღებად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა.

ილორის ქუჩის მე-7 სახლის მობინადრეთა წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. უნებართვო გარაჟები მოიშალა, მათ მფლობელებს ვურჩიეთ, ისარგებლონ საზოგადოებრივი ავტოსადგომებით.

ეს რედაქციას აცნობა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჟვანიამ.

● ●

**ქალაქ** თბილისში მიცკევიჩის ქუჩის მცხოვრები გ. ლოლაძე რედაქციას სწერდა: თბილისის ორჯონიკიძის რაისურსათვაჭრობის მე-10 მაღაზიის გამგემ არ მომცა საჩივრის წიგნი, სადაც მინდოდა ჩამეწერა, თუ რა უწესრიგობაა გამეფებული ამ მაღაზიაში.

წერილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა თბილისის ორჯონიკიძის რაიაღმასკომს, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ:

თბილისის ორჯონიკიძის რაისურსათვაჭრობის მე-10 მაღაზიაში მოვაწყვეთ სათანადო შემოწმება. გამოვლინდა ვაჭრობის წესების დარღვევები, მაღაზიის გამგე ა. ჭ. ბაჯიაშვილი ჩამოქვეითებულია თანამდებობიდან სამი თვით, თვითმომსახურების განყოფილების გამგეს გ. გოჩიტაშვილს კი გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ეს რედაქციას აცნობა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ავალიანმა.

● ●

**ორჯონიკიძის** რაიონის სოფელ ლეღვანის მცხოვრები შ. ვეფხვაძე რედაქციას სწერდა მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის ხელმძღვანელობასთან სამოქალაქო დავის თაობაზე.

წერილი რეაგირებისათვის პარტიის ორჯონიკიძის რაიკომს გადავუგზავნეთ, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ:

მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის ადმინისტრაციის და შ. ვეფხვაძის დავის საკითხი განიხილა ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ და დააკმაყოფილა შ. ვ. ვეფხვაძის სამოქალაქო სარჩელი.

ეს რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. დევდარიანმა.

● ●

**ცხაკაიელი** შ. ბედია თავის განცხადებაში აღნიშნავდა: ცხაკაიას საკოლმეურნეო ბაზარში ქორ-ვაჭრები პარპაშობენ და მათი გამკითხავი არავინ არისო.

ამის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის მეორე მდივანი რ. ფაჩულია რედაქციას ატყობინებს:

— შ. ბედიას განცხადებაში მოყვანილი ფაქტები ნაწილობრივ დადასტურდა. საკითხი საკოლმეურნეო ბაზარში არსებულ დარღვევათა შესახებ განიხილა პარტიის ცხაკაიას რაიკომის ბიურომ. ბიურომ ბაზრის დირექტორი ვ. ადამია და შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი ო. ტყებუჩავა მკაცრად გააფრთხილა და ამასთან დაავალა ღონისძიებები ცხაკაიას საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე შექმნილი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

# ასე იზრდება საოჯახო ბიუჯეტი

## განვითარებული სოციალიზმი და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა

**განვითარებული** სოციალიზმის აშენებამ ახლებურად დააყენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი განვითარების მრავალი საკითხი.

მეცხრე ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იყო ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. მეათე ხუთწლედში თანამიმდევრულად ვახორციელებდით კომუნისტური პარტიის კურსს, რათა შემდგომ აგვემაღლებინა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

„მეთერთმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა, — ნათქვამია სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში, — კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა...“

აქედან გამომდინარე, — ხაზგასმულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში, — ოთხმოციანი წლების მთავარი ამოცანაა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება, უკეთესი პირობების შექმნა იმისათვის, რომ ყოველმხრივ განვითარდეს პიროვნება.

ასეთია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნა და კონსტიტუციური ძალით განმტკიცებული საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზანი.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიის და სახელმწიფოს საქმიანობა განსაკუთრებით გაფართოვდა ბოლო ათწლეულში. ამას ადასტურებს მრავალი ფაქტი. ავიღოთ თუნდაც მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდის ტემპი. ახლა ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებით 100 მანეთზე მეტი შემოსავალი აქვს, მაშინ როცა 1970 წელს მხოლოდ 18 პროცენტი ღებულობდა ასეთ შემოსავალს.

ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ყველა ჯგუფის მშრომელთა ცხოვრების დონეების დასაახლოებლად. სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა ასეთი საგულისხმო ფაქტი დაასახელა. 70-იან წლებში მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების ისეთი ოჯახების რიცხვი, სადაც ერთ კაცზე თვეში 100 მანეთზე მეტი მოდის, თითქმის სამჯერ გაიზარდა. და, პირიქით, ისეთი ოჯახების რიცხვი, სადაც ერთ სულზე შემოსავალი თვეში 50 მანეთზე ნაკლებია, დაახლოებით ამდენადვე შემცირდა.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დღეს უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე ოდესმე. თუმცა, როგორც სამართლიანად აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კიდევ უფრო ნაყოფიერი, შინაარსიანი, შეძლებული გახდეს საბჭოთა ადამიანების, რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრება, თითოეული ადამიანის, თითოეული ოჯახის, თითოეული მშრომელის ცხოვრება, ჩვენი შვილების, ჩვენი დედებისა და მამების ცხოვრება.

მართლაც ასეა. ამას ადასტურებს მრავალი ფაქტი, ჩვენი ეკონომიკური პოტენციალის დაჩქარებული განვითარება. მაგალითად, ჩვენმა რესპუბლიკამ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდისა და მატების ტემპით მეთორმეტე ადგილიდან, რომელიც ეკავა 70-იანი წლების დასაწყისში, მეორე ადგილზე გადმოინაცვლა, ეროვნული შემოსავლის ანალოგიური მაჩვენებლებით კი მეთერთმეტე ადგილიდან — პირველზე გადმოვიდა.

ყოველივე ამის გამო საგრძნობლად ამაღლდა მოსახლეობის ცხოვრების დონე. 1970 წელთან შედარებით რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გადიდდა 1,4-ჯერ, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — ერთიორად და მეტად. თუ ამას დავუმატებთ ღონისძიებებს, რომლებიც მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით ხორციელდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მეშვეობით, მაშინ რეალური შემოსავალი გადიდებული იქნება 1,6-ჯერ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი 10 წლის განმავლობაში, ხოლო რეალური შემოსავალი დაახლოებით ყოველ 15 წელიწადში ორკეცდება, რომ ადამიანის სიცოცხლის მანძილზე სოციალისტური საზოგადოება რამდენჯერმე გადადის მოხმარების თვისებრივად ახალ დონეზე, უფრო იოლი წარმოსადგენი გახდება იმ ღრმა ცვლილებათა შედეგი, რომლებიც საბჭოთა ოჯახის ბიუჯეტის დინამიკური და სტრუქტურული სრულყოფის თვალსაზრისით ხდება.

და ყოველივე ეს კარგად ჩანს საქართველოს მაგალითზე. მივმართოთ ციფრებს, ფაქტებს.

სათანადო გაანგარიშებით ირკვევა, რომ მარტო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის საოჯახო ბიუჯეტი დაახლოებით 1,6-ჯერ გაიზარდა, აქედან კოლმეურნეთა შემოსავალ-გასავალი 73 პროცენტით გადიდდა.

ზრდის ასეთი ტემპის გამო საყურადღებო ცვლილებები ხდება საქართველოს მოსახლეობის საოჯახო ბიუჯეტის საკავშიროსადმი დამოკიდებულების მხრივ. თუ, მაგალითად, 1970 წელს რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების ერთობლივი შემოსავალი ანალოგიური საშუალო საკავშირო მაჩვენებლის 87 პროცენტს უდრიდა, 1979 წელს მან 91 პროცენტი შეადგინა.

ბოლო წლებში საგრძნობი დადებითი ცვლილებებით ხასიათდება საოჯახო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალი, არსებითს სრულყოფას განიცდის დანახარჯების სტრუქტურა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება მშრომელთა მიერ იმ ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის შესყიდვა, რომელიც აუმჯობესებს და ალამაზებს ყოფა-ცხოვრებას.

ამის გამო, აბსოლუტური ზრდის მიუხედავად, შესამჩნევად მცირდება კვების პროდუქტებზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი. მაგალითად, თუ 1970 წელს ამ მიზნით კოლმეურნეთა ოჯახები შემოსავლის 36,5 პროცენტს გამოყოფდნენ, 1980 წელს მან 31 პროცენტი შეადგინა.

როგორც საოჯახო ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, გარკვეული უთანაბრობა შეიმჩნევა კვების პროდუქტების მოხმარების სოციალურ სტრუქტურაში. მუშა-მოსამსახურენი და მათი ოჯახის წევრები საგრძნობლად მეტი რაოდენობის სურსათ-სანოვაგეს (გარდა პურისა) საჭიროებენ, ვიდრე კოლმეურნეები. თუმცა, სხვაობა არსებითად მცირდება.

სახალხო მეურნეობის მართვისა და განსაკუთრებით საცალო ვაჭრობის დაგეგმვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ერთობლივი წლიური შემოსავლის თანაფარდობის ცოდნას. ახლა რესპუბლიკის კოლმეურნეთა ოჯახების ბიუჯეტი მნიშვნელოვნად სჭარბობს მუშა-მოსამსახურეთა ანალოგიურ მაჩვენებელს. თუმცა ოჯახის ერთ წევრზე განგარიშებით მეორე საგრძნობლად მეტია პირველზე. საოჯახო ბიუჯეტის საერთო შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველომ არათუ დაძლია 60-იან წლებში დაშვებული ეკონომიკის ქრონიკული ჩამორჩენა, არამედ ამ მხრივ იგი ამაყად მიაბიჯებს მოწინავე მოკავშირე რესპუბლიკათა შორის. უფრო მეტიც, ათი წლის მანძილზე საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გაიზარდა თითქმის 1,8-ჯერ, კერძოდ, მარტო მეათე ხუთწლედში — 38 პროცენტით. ამის გამო განსხვავება საშუალო საკავშირო და რესპუბლიკურ მაჩვენებლებს შორის 14,8 პუნქტით შემცირდა.

ამრიგად, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება განუყრელად უკავშირდება საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. ჭეშმარიტებაა: საზოგადოებას შეუძლია გაანაწილოს და მოიხმაროს მხოლოდ ის, რაც წარმოებულია. სხვაგვარად რომ ვთქვათ: როგორ ვცხოვრობთ დღეს და როგორ ვიცხოვრებთ ხვალ — ეს დამოკიდებულია თვით ჩვენზე, ჩვენს შრომით წარმატებებზე.

ამ შინაარსით ჩაიარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართულმა მესამე პლენუმმა. იქ ითქვა, რომ ბოლო წლებში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული პრობლემები და ნაკლოვანებანი.

ხალხის კეთილდღეობა, როგორც აღინიშნა პლენუმზე ე. ა. შევარდნაძემ, მისი საარსებო დონის ამაღლებისათვის ზრუნვა მუდამ იყო და არის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი პარტიისა და სახელმწიფოს მთელ საქმიანობაში.

**ქ. ელიზბარაშვილი,**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

*სასკოლო მშენებლობა დამკვრელური უბანია!*

# ახალმოსახლეობის მოლოდინში

**ვითომ 1 სექტემბერს შევა თავის ბინაში თეთრი წყაროს 128-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი?**

ეს მეტად საჭირო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი სულ ახლახან, 1979 წელს შეიქმნა. მას შემდეგ აქ ყოველწლიურად 200-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი ეუფლება ხოლმე ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისათვის საჭირო პროფესიებს. სასწავლებელი ზრდის ბულდოზერის მემანქანესა და ფართო პროფილის ტრაქტორისტს, ავტომანქანის მძღოლსა და ექსკავატორის მემანქანეს, სასოფლო მშენებლობის ოსტატსა და მეფრინველეობის ფაბრიკის სპეციალისტს...

სასწავლებლის პედაგოგები და ოსტატები მონდომებას არ აკლებენ, რათა სოფლის მეურნეობას შეაშველონ ღირსეული და საქმის მცოდნე სპეციალისტები, მაგრამ ოსტატებსაც და შეგირდებსაც ძალიან ეშლებათ ხელი, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ შეუფერებელ ბინებში ცხოვრობენ და სწავლობენ, და იმის გამოც, რომ არ გააჩნიათ სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო სახელოსნოები.

არა და, ყველაფერი ისე იყო გათვალისწინებული და გააზრებული, რომ უკეთესი არ იქნებოდა. 1978 წელს დაიწყო სასწავლებლის კორპუსების მშენებლობა. დაიწყო იმ ვარაუდით, რომ 1979 წლისათვის — სასწავლებლის გახსნასთან ერთად ბარემ ახალმოსახლეობაც ეზეიმათ. მაშინ უნდა აშენებულიყო ის რიგი, პირველ ნაკადს რომ გამოზრდიდა. ყველა კორპუსის მშენებლობა კი 1980 წლის აგვისტოში უნდა დასრულებულიყო.

მაგრამ აი კარს მოგვადგა 1981 წლის სექტემბერიც, და ერთობ საეჭვოა, რომ ახლა მაინც იზეიმონ ამ სასწავლებლის ოსტატებმა და შეგირდებმა ის სანუკვარი ახალმოსახლეობა.

გადავხედოთ მშენებლობის გეგმა-გრაფიკს: 1979 წელს მშენებლებს 850 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეესრულებინათ, ფაქტობრივად კი მხოლოდ 669,9 მანეთის საქმე გააკეთეს. მომდევნო 1980 წელსაც მხოლოდ სანახევროდ შეასრულეს გათვალისწინებული სამუშაოები. წლეულსაც იგივე განმეორდა. ამ მშენებლობაზე გეგმები ვერც პირველ კვარტალში დაძლიეს, ვერც მეორეში, და იმდენი რამ ჩამორჩა, რომ სექტემბრამდე ყველაფრის მოთავება შეუძლებელ საქმედ მოჩანს.

ამ ცოტა ხნის წინათ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ მწვავედ იმსჯელა საქმის გაჭიანურების შესახებ, 71-ე მოძრავმექანიზებული სამშენებლო კოლონის უფროსი ბ. ჯიქიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს, მაგრამ წახდენილ საქმესთან შედარებით ეს ფაქტი ცოტა ნაგვიანევად მოჩანს.

მეორე თვეა, რაც აქ 55-ე კოლონის მშენებლები მოვიდნენ (უფროსი — ნ. ბუგიანაშვილი), აქვე შრომობენ 30-ე კოლონის ოსტატებიც (უფროსი — ო. გლურჯიძე). საქმე თითქოს გამოცოცხლდა, მაგრამ იმდენი რამ არის მოძალებული, რომ სასექტემბროდ ამ კორპუსებში ზარი ვერ დაირეკება. დიდი-დიდი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დაამთავრონ. თუმცა აქაც ჯერ კიდევ ბევრგან არის დასაგები პარკეტი და რბილი იატაკიც გასაკეთებელია. არც შიდა კეთილმოწყობისა და შეღებვის სამუშაოებია დამთავრებული. მაგრამ ეს შენობა დათქმული დროისათვის კიდეც რომ მზად იყოს, სასწავლო კორპუსში შიგნითაც და გარეთაც იმდენი რამ არის გასაკეთებელი, რომ მას სულ ცოტა სამი თვის დაძაბული შრომა მაინც დასჭირდება. აღარაფერს ვიტყვით იმ სანახევროდ ამოყვანილ კედლებზე, სადაც სასწავლებლის სახელოსნოები უნდა გაიმართოს.

დიდი და მადლიანი საქმე აკისრიათ მშენებლებს, მით უმეტეს, როდესაც თავიანთ შვილებსა და მომავალს სკოლას უშენებენ. ამ სასწავლებლის ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ჩვენი დიდი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე უნდა იშრომონ, ისე, რომ მათ ნახელავს წუნი არ დაედებოდეს, თორემ ჩვენვე ვიზარალებთ. ვუქმნით კი მათ საამისოდ შესაფერის პირობებს? მესამე წელიწადია, ახალგაზრდები კეთილმოწყობილ სასწავლებელს ელოდებიან. ისინი არ მიიღებენ მშენებელთა პრეტენზიებს, სატვირთო მანქანები გვაკლია და ზოგჯერ აგურიცაო, ისიც სათქმელია, რომ ხვალ ეს ახალგაზრდები თვითონ იქნებიან მშენებლები და როდესაც მათ ვასწავლით, იქვე იმის ცუდ მაგალითსაც არ უნდა ვუჩვენებდეთ, თუ როგორ ვაჭიანურებთ ერთი წლის საქმეს სამ წელიწადს.

ყოველივე ამაზე ნამდვილად ღირს დაფიქრება.

**ჯ. ქურხული,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.



**სურათზე:** ასე გამოიყურება დღეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კორპუსები. მართლაც დიდი ოპტიმისტი უნდა იყო, რომ ირწმუნო, ეს მშენებლობა 1 სექტემბრისათვის დამთავრდება...

ჯ. ლომაძის ფოტო.

# მაღაროელთა ბოსტანი და ფერმა

**ჩორდის** ბარიტის მაღაროთსამმართველო... არის ასეთი ინდუსტრიული სამთო საწარმო ონის რაიონში. მებარიტეთა დაბა მდინარე ჯეჯორის ხეობაში, ზღვის დონიდან 1200 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო მაღაროები, სადაც მადნის მოპოვება წარმოებს, კავკასიონის მაღალ მთებშია. საწარმოს 500-კაციან კოლექტივს მეტად მკაცრ, ურთულეს კლიმატურ პირობებში უხდება შრომაც და ცხოვრებაც. წლების მანძილზე განსაკუთრებით გაძნელებული იყო აქაური საზოგადოებრივი კვების ქსელის მომარაგება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. მუშათა დაბისა და მაღაროების სასადილოები სათანადოდ ვერ მარაგდებოდნენ ბოსტნეულით — კიტრით, პამიდორით, კომბოსტოთი, მწვანილით. ბოლო ხანებში გაძნელდა მუშათა და მოსამსახურეთა მომარაგება ხორცისა და რძის ნაწარმით.

საჭირო იყო ადგილობრივი რეზერვების გამონახვა, საგანგებო ღონისძიებების განხორციელება, რათა წლის ყოველ დროს მოსახლეობა დაკმაყოფილებულიყო საკუთარი, ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით. მაგრამ როგორ? რა გზით? სამმართველოს სრულებით არ გააჩნდა თავისუფალი მიწის ფართობი, შენობა-ნაგებობანი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და კადრები. ასეთ პირობებში, ცხადია, იოლი არ იყო რაიმე დამხმარე მეურნეობის მოწყობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების საკუთარი წარმოების ორგანიზება.

, მიუხედავად ამისა, პირველი ნაბიჯები მაინც გადაიდგა, ორი ასეთი მეურნეობა აქ უკვე შეიქმნა. ერთ-ერთი სასათბურე მეურნეობაა, სადაც მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ კიტრი, პამიდორი და სხვადასხვა ბოსტნეული, მეორე კი — ხორცის სამქრო.

შარშან ზამთარში, ახლად მოწყობილი სათბურიდან, რომელსაც 2.200 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი უჭირავს, მებარიტეებმა ბოსტნეულის პირველი მოსავალი მიიღეს. კიდევ უფრო უხვი იყო შემდეგ მოყვანილი ბოსტნეულის მოსავალი. სულ ერთი წლის მანძილზე სათბურმა საზოგადოებრივი კვების ქსელს (ძირითადად გვიან შემოდგომაზე, ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე) მისცა 430 კილოგრამი პამიდორი, 324 კილოგრამი კიტრი, 55 კილოგრამი მწვანე წიწაკა და 281 კილოგრამი სხვადასხვა მწვანილი.

ერთი სიტყვით, ბარიტის მაღაროთსამმართველოს (ინჟინერი ა. ჩიკვილაძე), მთელი კოლექტივის მეცადინეობითა და მონდომებით წარმატებით გადაიჭრა მუშათა სასადილოების, საბავშვო ბაღის და საავადმყოფოს წლის ყოველ დროს ბოსტნეულით მომარაგების დიდმნიშვნელოვანი პრობლემა.

ამ სახელმწიფო ღონისძიების, სასურსათო პროგრამის განხორციელებაში სამმართველოს კოლექტივს ქმედითი დახმარება გაუწია „საქსამთოქიმმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებამ (გენერალური დირექტორი — ნ. ცხაკაია). გაერთიანების ინიციატივიანმა მესვეურებმა არ დაიშურეს ფულადი სახსრები და საშენი მასალები სიახლის დასანერგავად.

ახალი ხუთწლედის პირველ ზამთარში სასათბურე მეურნეობის კოლექტივმა, მიუხედავად მეტად მკაცრი კლიმატისა, ბოსტნეულის კარგი მოსავალი მოიწია. მაგრამ ეს ზღვარი როდია. როგორც საქმეში ჩახედული სპეციალისტები ამტკიცებენ, მეურნეობის კიდევ უფრო გონივრული მოწყობით ბოსტნეულის უფრო მყარი და უკეთესი მოსავლის მიღება შეიძლება. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სათბურს აუშენდეს საკუთარი საქვაბე; ამასთან მეურნეობა განიცდის წყლის ნაკლებობას. ეს პრობლემა იოლად გადაიჭრება, თუ სამმართველოს გამოუყოფენ 500 გრძივი მეტრის ლითონის მილებს. სიძნელეებია მომარაგებაშიც. მაგალითად, სათბურს აკლია მინა და სხვადასხვა საშენი მასალა, არ გააჩნიათ საჭირო შხამქიმიკატები. გადასასინჯავია მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების საკითხიც. აქ საჭიროა მატერიალური სტიმულირების რაიმე ფორმის შემოღება. ყველა ამ საკითხების მოგვარება დიდად შეუწყობს ხელს მებარიტეთა კვების გაუმჯობესებას.

სასურსათო პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მეღორეობამ. ამ დარგს მებარიტეებმა სულ ახლახან მოჰკიდეს ხელი. უმნიშვნელო მატერიალური დანახარჯების გაწევით უკვე აშენდა ფერმის კაპიტალური შენობა. თავდაპირველად აქ ჯიშიანი ოთხი ძუ და ერთი კერატი შეიძინეს. ხორცის სამქროში უკვე მიიღეს პირველი ნამატი. ახლა ფერმაში 41 ღორი სუქდება. საწარმოს საზოგადოებრივი კვების ქსელი მალე საკუთარი წარმოების იაფ ხორცს მიიღებს. ახლო მომავალში გათვალისწინებულია ღორების სულადობის კიდევ უფრო მომატება და ფერმის პროდუქტიულობის გადიდება. მაგრამ აქაც ბევრი საკითხია მოსაგვარებელი.

უწინარეს ყოვლისა, მტკიცე საკვები ბაზის შექმნის პრობლემა უნდა გადაიჭრას. აქაური საუკუნოვანი ტყეები მდიდარია ისეთი ნაყოფით, როგორიც რკო და წაბლია. ტყის ეს ნობათი მთლიანად უნდა გამოიყენონ. გარდა ამისა, საჭიროა გამოიძებნოს მიწის ნაკვეთები და დაითესოს ძირხვენები, აგრეთვე ღორების საკვებად გამოსადეგი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა. მოსაგვარებელია ვეტერინარული სამსახურის საქმეც.

ბარიტის მაღაროთსამმართველოში გვითხრეს, რომ საწარმოს შრომისმოყვარე კოლექტივს აქვს რეალური შესაძლებლობა, რომ წლეულს შექმნას მეწველი პირუტყვის ფერმა. ოციოდე ძროხა აქ მთლიანად დააკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებებს.

ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივის გამოცდილების ფართო გავრცელება რეკომენდირებულია საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ მონათესავე საწარმოებში.

**ვ. ცირეკიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

*„კომუნისტი“*

*ეძიებს*

*რეზერვებს*

# თუშეთის ნექტარი

**სასურსათო** პროგრამის განხორციელების საქმეში მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის როლიც.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის რეკომენდაციით თაფლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში სულ ცოტა 3 კილოგრამს უნდა შეადგენდეს. სინამდვილეში კი ამ პროდუქტის წარმოების დონე მხოლოდ 20 პროცენტით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

სწორედ ეს არასახარბიელო მდგომარეობა იყო იმის საბაბი, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა წლეულს საგანგებო გადაწყვეტილება მიუძღვნეს რესპუბლიკაში მეფუტკრეობის განვითარების საკითხებს. დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ აუცილებელია მეთერთმეტე ხუთწლედში ფუტკრის ოჯახების რაოდენობრივი ზრდა და მათი პროდუქტიულობის გადიდება.

ამ მხრივ კი გადამწყვეტი როლი საკვებ ბაზას ეკუთვნის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოში ფუტკრისათვის ხელოვნური (ნათესი ბალახები) საკვები ბაზა უმნიშვნელოა და ფუტკრის ოჯახები ძირითადად ბუნებრივი საკვები ბაზის იმედით არიან; ნათელი გახდება ახალი რეზერვების ძიების აუცილებლობა.

ინტენსიური მიწათმოქმედების ზონებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ შხამქიმიკატებს იყენებენ, საგრძნობლად შემცირდა ფუტკარი. ამ ფონზე ბუნებრივი საკვები ბაზის გამოყენების თვალსაზრისით დიდ ყურადღებას იმსახურებს თუშეთი. ეს უზარმაზარი ტერიტორია ჩვენ მეფუტკრეობის განვითარების უდიდეს რეზერვად მიგვაჩნია.

ოცი წლის წინათ თუშეთში მეფუტკრეობის განვითარების შესაძლებლობის შესწავლას შეუდგა საქართველოს მეფუტკრეობის საცდელი სადგური. ამ მიზნით ომალოში თვითმფრინავით გადავიტანეთ ფუტკრის 10 ოჯახი. თურმე, ამ ზონაში საკმაოდ ბევრია მტვრია და ნექტრის მომცემი მცენარეები. ფუტკრის ოჯახების საგაზაფხულო განვითარებას აქ ხელს უწყობს ისეთი მცენარეების ყვავილობა, როგორიც არის მდგნალი, თხილი, ნეკერჩხალი, მოცხარი, ქოლო და სხვა. ნექტარს უხვად გამოყოფენ სხვადასხვა სახეობის სამყურები. ხუთი წლის დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ თუშეთში მთავარი ღალიანობა ივნისის შუა რიცხვებში იწყება და 2 თვეს გრძელდება. ამ პერიოდის მანძილზე საკონტროლო სკაში 20-დან 65 კილოგრამამდე თაფლი მივიღეთ, ხოლო ცალკეულ დღეებში მატებამ 5-6 კილოგრამს გადააჭარბა.

ახლა თაფლს აღარ იტყვით? იგი უმაღლესი ხარისხისაა, არაჩვეულებრივად გემრიელი და სურნელოვანია.

ამ რეგიონში საკმაოდ მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი იცის. ამის გამო ჩვენ მოვაწყვეთ ექსპერიმენტები, თუ როგორ გამოიზამთრებენ ფუტკრის ოჯახები და დავადგინეთ, რომ ფუტკარი, თუ ბუდეები ნორმალურად არის შედგენილი და დათბუნებულია, კარგად ზამთრობს ღია ცის ქვეშ.

**კ. ხიდეშელი,**
საქართველოს მეფუტკრეობის საცდელი სადგურის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქდესის განცხადება

6 აგვისტოს — ხიროსიმის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა მიიღო გადაწყვეტილება შეუდგეს ნეიტრონული იარაღის წარმოებას. ამ გადაწყვეტილების შედეგად, რომლის მიღებაც მსოფლიოს ხალხთა ნება-სურვილისა და ინტერესების ცინიკური უგულებელყოფაა, ამერიკის შეერთებული შტატების ისედაც უზარმაზარ ბირთვულ არსენალს შეემატება ადამიანთა მასობრივი მოსპობის ახალი, განსაკუთრებით ბარბაროსული საშუალება.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ეს ნაბიჯი კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რაოდენ საშიში შედეგები შეიძლება მოჰყვეს განუკითხავ მიდგომას საერთაშორისო საქმეებისადმი. თუ გავიხსენებთ ყველა იმ ღონისძიებას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რომ განახორციელა უკანასკნელ წლებში, — სამხედრო ხარჯების მკვეთრ გადიდებას, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულების რატიფიკაციის ჩაშლას, დასავლეთ ევროპაში ახალი ბირთვული საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების სამზადისს და, ბოლოს, ნეიტრონული იარაღის წარმოების გადაწყვეტილებას, — თვალნათლივ დავრწმუნდებით, რომ ვაშინგტონი დაუოკებელი გამალებული შეიარაღების და მსოფლიო ვითარების დესტაბილიზაციის კურსს დასდგომია.

შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის ადმინისტრაციის უკანასკნელ გადაწყვეტილებას განსაკუთრებული გულისწყრომითა და შეშფოთებით შეხვდნენ მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში და თვით ნატოს მეტ წილ ქვეყნებში. ამ გადაწყვეტილების აშკარად მოწონება პრაქტიკულად მარტო პეკინმა გაბედა.

ვაშინგტონში ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ ხალხები, რათა დააცხრონ გულისწყრომა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, და ახლა აცხადებენ, ნეიტრონული ბომბები ამერიკის ტერიტორიაზე შეინახება, ამიტომ ეს „მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების შინაური საქმეაო".

მაგრამ ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ნეიტრონული იარაღი სულაც არ იქმნება იმიტომ, რომ იგი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე იხმარონ. ცხადია ისიც, რომ ნებისმიერ დღეს ნეიტრონულმა იარაღმა შეიძლება თავი ამოჰყოს ევროპის კონტინენტზე ან სხვა იმ რაიონში, რომლის გამოცხადებაც მოეპრიანება თეთრ სახლს „ამერიკის შეერთებული შტატების სასიცოცხლო ინტერესების სფეროდ". ამის შედეგად, ყოველივე ის, რასაც დღეს ამერიკის შეერთებული შტატების „შინაურ საქმეს" უწოდებენ", მილიონობით ადამიანს შეიწირავს სხვა კონტინენტებზე, გახდება დასაწყისი მსოფლიო ბირთვული ხანძრისა, რომლის ალი არც შეერთებულ შტატებს დაინდობს.

ვაშინგტონში აშკარად გადაწყვიტეს თავიანთი ნატოელი მოკავშირეები მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენონ: ჯერ შექმნან ნეიტრონული იარაღის მარაგი, მერე კი განალაგებინონ იგი თავიანთ ტერიტორიაზე.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საქმეებში, რომლებიც თვით ხალხთა არსებობის, მათ შორის, შეერთებული შტატების მოკავშირე ქვეყნების ხალხთა არსებობის საკითხებს ეხება, ვაშინგტონი არ თვლის საჭიროდ დაეკითხოს მათ აზრს. და მით უფრო უპასუხისმგებლოა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ზოგიერთი მოღვაწის პოზიცია, რომლებიც არსებითად მაამებლურად უწონებენ დანაშაულებრივ გეგმებს ამერიკას და ცდილობენ ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, თითქოს ვაშინგტონში მიღებული გადაწყვეტილება მათ არ ეხებოდეს.

ამერიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილება ნეიტრონული იარაღის წარმოების შესახებ განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩენს ვაშინგტონის იმ მტკიცებათა თვალთმაქცობას, თითქოს შეერთებული შტატები ბირთვული შეიარაღების შემცირებაზე მორიგების მიღწევას აპირებდეს. სინამდვილეში ყოველივე, რაც დღემდე გაუკეთებია ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ ადმინისტრაციას, სულ საწინააღმდეგო ხასიათისაა — იგი აძლიერებს ამერიკის სამხედრო პოტენციალს, ამძაფრებს საერთაშორისო დაძაბულობას, დაბრკოლებებს უქმნის განიარაღების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებას. ახლა მთელ იმედებს მორევაზე ამყარებენ. არადა, უკანასკნელი ათწლეულის მთელი გამოცდილება უცილობლად მოწმობს, რომ ეს გზა ვერ მოუტანს მშვიდობას და უშიშროებას ხალხებს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს. პირიქით!

სამხედრო არსენალებში ნეიტრონული იარაღის გაჩენას მოჰყვება ეგრეთ წოდებული ბირთვული ზღურბლის სახიფათო შემცირება, სხვაგვარად რომ ვთქვათ — ბირთვული ომის წარმოშობის რისკის გადიდება, და ამისათვის მთელი პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაეკისრება.

ამერიკელი სტრატეგოსები გაფაციცებით ცდილობენ ადამიანები დააჯერონ, თითქოს ნეიტრონული იარაღი რაღაც „სუფთა", ლამის „ჰუმანური" იარაღი იყოს. ეს საშიში ილუზიაა. ჰუმანურს უწოდებენ იარაღს, რომელიც საგანგებოდ გამოიგონეს ადამიანთა გასაწყვეტად, იარაღს, რომლის გამოყენების შედეგები, როგორც მეცნიერები გვაფრთხილებენ, ფრიად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რჩება და დამღუპველ გავლენას მოახდენს მომავალ თაობებზე. აი, ასეთია ვაშინგტონური „ჰუმანიზმი"!

ყველა პატიოსანი ადამიანი მოვალეა აღიმაღლოს ხმა ადამიანის უზენაესი უფლების — სიცოცხლის უფლების დასაცავად, ჩაუშალოს ამერიკის მხედრიონს ნეიტრონულ იარაღთან დაკავშირებული ბარბაროსული გეგმები. გონება გვიკარნახებს, რომ ომის წარმოების ახალ-ახალ საშუალებათა დაგროვებას მტკიცედ უნდა დავუპირისპიროთ შეიარაღების, კერძოდ, ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის, შემცირებისა, და საბოლოო ანგარიშით, ლიკვიდაციის ალტერნატივა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირს არაერთგზის წამოუყენებია წინადადება ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე ორმხრივი უარის მიღწევის, მისი აკრძალვის შესახებ. ამის თაობაზე საერთაშორისო კონვენციის კონკრეტული პროექტი, სოციალისტურმა ქვეყნებმა რომ შეიტანეს, მოლაპარაკების მაგიდაზე დევს ჟენევაში, განიარაღების კომიტეტში.

საბჭოთა ხელმძღვანელ წრეებს კვლავინდებურად სჯერათ, რომ ასეთი გადაწყვეტილება ყველაზე უკეთ შეესაბამება მშვიდობის განმტკიცების ამოცანას, სიკეთეს მოუტანს ყველა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს.

ამასთან ერთად, ნურავის შეეპარება ეჭვი, რომ იმ ღონისძიებათა შემხედვარე, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს, საბჭოთა კავშირი ჯეროვნად შეაფასებს შექმნილ ვითარებას და მიიღებს საჭირო ზომებს თავისი უშიშროების, თავისი მეგობრებისა და მოკავშირეების უშიშროების უზრუნველსაყოფად.

## ფაქტები ● მოვლენები ● გამოხმაურება

# მსოფლიო გმობს

### ამერიკის პრეზიდენტის პოლიტიკურ უგუნურებას

**პრაღა.** ჩეხოსლოვაკიელმა მშრომელებმა უდიდესი აღშფოთება გამოთქვეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის იმ გადაწყვეტილების გამო, რომ სრული მასშტაბით დაიწყოს ნეიტრონული იარაღის წარმოება, ნათქვამია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს განცხადებაში. ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირების ყველა წევრის სახელით ცენტრალური საბჭო უერთდება პლანეტის მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანის პროტესტებს და მტკიცედ გმობს ამერიკის ადმინისტრაციის ცინიკურ ნაბიჯს, რომელიც ახალ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას და აძლიერებს ომის წარმოქმნის საშიშროებას.

**ბერლინი.** ჩვენ ღრმა შეშფოთებას გამოვთქვამთ იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკის ნაწილია, ნათქვამია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის განცხადებაში.

მსოფლიოს ქალებმა უნდა გააააქტიურონ თავიანთი მოქმედება ამ საზარელი იარაღის წინააღმდეგ, მოსთხოვონ ამერიკის შეერთებულ შტატებს გააუქმოს ეს გადაწყვეტილება და გამართოს მოლაპარაკება გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ, ხაზგასმულია დოკუმენტში.

**პნომპენი.** კამპუჩიელი ხალხი გულისწყრომით გმობს რეიგანის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას, განაცხადა კამპუჩიის ეროვნული ხსნის ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა. ეს გადაწყვეტილება მოწმობს თუ რაოდენ არაადამიანურია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოლიტიკა, რომლებიც ისწრაფვიან თავიანთი ნება მოახვიონ თავს მსოფლიოს ხალხებს.

შანტაჟი და მუქარა, ანტისაბჭოთა ისტერია — აი ახლანდელი ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშნები. კამპუჩიის ხალხი გადაჭრით გმობს ამ კურსს.

**ნიუ-იორკი.** თავისი გადაწყვეტილებით რეიგანის ადმინისტრაციამ აბუჩად აიგდო მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომელიც ბოლო წლების მანძილზე მტკიცედ იბრძვის ამ ბრაბაროსული იარაღის წარმოებისა და განლაგების წინააღმდეგ, განაცხადა „მეცნიერები და ინჟინრები სოციალური და პოლიტიკური მოქმედებისათვის" ორგანიზაციის დირექტორმა რ. რ. უოლესმა. მან უდიდესი ცინიზმი უწოდა თეთრი სახლის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელთა მტკიცებას, თითქოს ნეიტრონული ბომბი „თავდაცვითი" ხასიათის და „სუფთა" იარაღი იყოს.

**სტოკჰოლმი.** შვეციის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მდივანმა ს. ანდერსონმა განაცხადა, რომ საჭიროა ქვეყანაში გაჩაღდეს ფართო კამპანია ამერიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მშვიდობისა და განიარაღების მიღწევის მიზნებისათვის.

პრეზიდენტ რ. რეიგანის გადაწყვეტილება დაიწყოს ნეიტრონული იარაღის წარმოება, თქვა მან, ახალი ნაბიჯია გამალებული შეიარაღების გაძლიერების გზაზე და პოლიტიკური უგუნურების გამოვლენაა.

ნეიტრონული იარაღი, თქვა შვეციის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მდივანმა, ევროპისთვის არის გათვალისწინებული და ამიტომ ეს საკითხი ყველას გვეხება.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უნდა გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება. საჭიროა აგრეთვე დაიწყოს სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკება ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე, დასძინა ს. ანდერსონმა.

**ლონდონი.** ვაშინგტონის გადაწყვეტილება ზრდის ომის საშიშროებას მსოფლიოში, განაცხადა დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა მ. ფუტმა. გამალებულმა შეიარაღებამ უამისოდაც ისეთ დონეს მიაღწია, რომ ყველაზე უარესად მიმაჩნია იმათგან, რომლებიც კი რეიგანის ხელისუფლების სათავეში დადგომის შემდეგ მიიღეს, აღნიშნა ლეიბორისტთა ლიდერმა.

# გამოიცა ცალკე ბროშურად

**რეიკიავიკი.** აქ ცალკე ბროშურად გამოიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ეს სკკპ ყრილობების მასალების პირველი გამოცემაა ისლანდიურ ენაზე.

ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის გამოქვეყნებას, განაცხადა ისლანდიის მშვიდობის კომიტეტის თავმჯდომარემ ჰ. ჰარალდსონმა, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევს ქვეყნის საზოგადოებრიობას გაეცნოს სსრ კავშირის პოზიციას ძირითად საერთაშორისო პრობლემებში, შეისწავლოს საბჭოთა წინადადებანი, რომელთა მიზანია ამ პრობლემების გადაწყვეტა, დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობა.

სკკპ XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, აღნიშნა მან, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს საბჭოთა ხალხის მიერ კომუნისტურ მშენებლობაში მიღწეული წარმატებები, ახალი ხუთწლედის გეგმები, რომელთა მთავარი მიზანია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

## საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

# საერთაშორისო ცხოვრება — დედამიწის ზურგზე

13 აგვისტო

# რ. ჩანდრას განცხადება

**დელი.** „მშვიდობის მსოფლიო საბჭო სამარცხვინო ბოძზე აკრავს ამერიკის ადმინისტრაციას, რომელმაც გადაწყვიტა სრული მასშტაბით აწარმოოს კიდევ ერთი სახეობის არაადამიანური იარაღი „ნეიტრონული ბომბი", — განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა რომეშ ჩანდრამ.

რ. ჩანდრამ აგრეთვე თქვა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ინიციატივით 24-31 ოქტომბერს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოეწყობა მასობრივი საპროტესტო კამპანია ამერიკის შეერთებული შტატების იმ გადაწყვეტილების გამო, რომ შეუდგეს ნეიტრონული იარაღის დამზადებას.

## ტელეტაიპის ლენტიდან

# მოკლედ

● **ნაირობი**

**ინდოეთის** ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევას დაუჭირეს მხარი აქ ვიზიტად მყოფმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ და კენიის პრეზიდენტმა დანიელ არაპ მოიმ. კენიის დედაქალაქში გამართულ მოლაპარაკებაზე მათ განაცხადეს აგრეთვე, რომ მხარს უჭერენ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ მალე დამთავრდება აფრიკის კონტინენტის დეკოლონიზაციის პროცესი. ი. განდიმ დაადასტურა, რომ ინდოეთი მხარს უჭერს ეკონომიკურ სანქციებს რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

● **სან-ხოსე**

**ფარაბუნდო** მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა გამოაქვეყნა სალვადორის მომავალი რევოლუციურ-დემოკრატიული მთავრობის პროგრამის პროექტი. დოკუმენტს, რომლის პირიც მიიღეს აქ, ხელს აწერს ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის უმაღლესი სარდლობა.

რევოლუციურ-დემოკრატიული მთავრობა, ნათქვამია დოკუმენტში, შეიქმნება მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელთაგან, რომლებიც წვლილს შემატებენ გენოციდის გამჩაღებელი დიქტატურის განადგურებას. მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის დამოუკიდებლობას და სალვადორელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას.

● **კანბერა**

**წყნარი** ოკეანის სამხრეთ ნაწილის ქვეყნების ფორუმის სესიის მონაწილეებმა, რომელიც გაიმართა ვანუატუს დედაქალაქ ვილაში, დაგმეს ბირთვული აფეთქებები, რომლებსაც ამ რაიონში ახორციელებს საფრანგეთი. მათ პროტესტი განაცხადეს ამერიკისა და იაპონიის მხედრიონის იმ ავბედითი გეგმების წინააღმდეგ, რომ ბირთვული ნარჩენები „ჩამარხონ" რეგიონის წყლებში.

სესიაზე მიიღეს გადაწყვეტილება პარიზში გაგზავნონ წყნარი ოკეანის სახელმწიფოთა წარმომადგენლების დელეგაცია ფიჯის პრემიერ-მინისტრის კ. ს. მარას მეთაურობით.

## მათი ზნე-ჩვეულება

# ქურდების ბანდა

**ლიმა.** პერუში საზღვარგარეთ გატანისა და გაყიდვის მიზნით გახშირდა ხელოვნების უძველესი ნიმუშების ქურდობა. ნაქურდალი მეტწილად ამერიკის შეერთებულ შტატებში გააქვთ. ეს ნათქვამია უძველესი ქალაქის კუსკოს არქიეპისკოპოსის ლუის ვაიეხოს სანტონის წერილში, რომელიც მან პერუს კონგრესის დეპუტატთა პალატას გაუგზავნა.

პერუს ხელისუფლების მიერ მოწყობილმა ძებნამ ამხილა გამტაცებელთა ბანდა, რომელსაც ორი ამერიკელი ხელმძღვანელობდა. ბანდის წევრებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მალულად გაჰქონდათ ანტიკვარული ნივთები. მარტო ერთი ოპერაციის დროს მძარცველებმა პერუდან 700 უძველესი ხელოვნების ნიმუში გაიტანეს.

● **სად რა მოხდა**

# მკვლელობა გორგანში

**თეირანი.** ქალაქ გორგანში უცნობი პირნი თავს დაესხნენ ამ ქალაქში ირანის ლიდერის აიათოლა ხომეინის წარმომადგენელს სეიდა ნურ-მა-ფიდის. იგი მძიმედ დაჭრეს, და როგორც იუწყებიან, შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა. დახოცეს აგრეთვე მისი ორი მცველი.

ამ ამბავს იუწყება თეირანის რადიო, რომელიც მკვლელობას „ქვეყანაში არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგეებს" აბრალებს.

## სტიქია მძვინვარებს

# ვულკანმა გაიღვიძა

**ტოკიო.** კვლავ გაიღვიძა იაპონიის ვულკანმა ასამამ (ნაგანოს პრეფექტურა). 2568 მეტრი სიმაღლის მწვერვალის კრატერიდან აღიმართა ვეებერთელა კვამლის სვეტი. ვულკანის რაიონში აღინიშნება ძლიერი სეისმური აქტიურობა. მარტო ორ დღეში აქ აღინიშნა 250 მიწისძვრა ბიძგი.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ გასცა განკარგულება დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ტურისტული ჯგუფების ასვლა ასამის მწვერვალზე. ვულკანის მოქმედების ქრონიკებში შესულია მის ფერდობებზე მომხდარი ტრაგედია, როცა ამოფრქვევის შედეგად 11 ტურისტი დაიღუპა.

## ფოტოობიექტივი ამხილებს

# ისრაელის აგრესია და ამერიკელთა გულისწყრომა

**ორი** კვირის განმავლობაში ისრაელის მხედრიონმა ბოლო წლების მანძილზე უპრეცედენტო მასშტაბისა და სიმკაცრის შეიარაღებულ აგრესიას მიმართა ლიბანის წინააღმდეგ. პალესტინის ვაფას სატელეგრაფო სააგენტოს მონაცემებით, სიონისტებმა ორი ათასამდე პალესტინელი და ლიბანელი დახოცეს. დაინგრა ათობით დასახლებული პუნქტი. ქვეყანამ დიდძალი მატერიალური ზარალი განიცადა.



**სურათზე:** (მარცხნივ) ამ მოხუც ქალს, ისევე როგორც ათასობით მის თანამემამულეს, ისრაელმა ექსტრემისტებმა სახლ-კარი დაუნგრიეს და ღია ცის ქვეშ დატოვეს.

**ნიუ-იორკში,** გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისრაელის წარმომადგენლობის შენობასთან გაიმართა ამერიკის საზოგადოებრიობის დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს ტელ-ავივმა შეწყვიტოს შეიარაღებული პროვოკაციები ლიბანის წინააღმდეგ. მათ გულისწყრომით დაგმეს ამერიკის მმართველი წრეები, რომლებიც ეხმარებიან სიონისტურ სახელმწიფოს მეზობელი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ომში.




**სურათზე:** მანიფესტაციის მონაწილენი.

აპ-საქდესის ფოტო.

● პორტუგალია

# პრემიერი გადადგა

**ლისაბონი.** პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ფ. პინტუ ბალსემაუმ რესპუბლიკის პრეზიდენტს ა. რამალიუ ეანეშს გადასცა თხოვნა გადადგომის შესახებ. ოფიციალურად ეს გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმით, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული საბჭოს ამასწინანდელი სხდომის დროს, სადაც მთავრობის მეთაურმა ფაქტობრივად დააყენა პრემიერ-მინისტრისადმი ნდობის საკითხი, მას ხმა მისცა 54-დან მხოლოდ 37 კაცმა. ამრიგად, ერთი მხრივ, ახლანდელი კრიზისი გამოიწვია იმან, რომ გაძლიერდა წინააღმდეგობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ზომიერ" წრეებს, მთელ მმართველ კოალიციას და უკიდურეს მემარჯვენეთა შორის. ამ უკანასკნელთ მიაჩნიათ, რომ ახლანდელი მთავრობა საკმაოდ მტკიცედ არ ახორციელებს პორტუგალიელ მშრომელთა დემოკრატიულ მონაპოვრებზე შეტევის პოლიტიკას. მეორე მხრივ, ბოლო დროს ოპოზიცია და მთელი პროგრესული ძალები სულ უფრო მწვავედ აკრიტიკებენ მთავრობის პოლიტიკას.

თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად მთავრობის მეთაურმა ამას წინათ მოახდინა მთელი რიგი გადაადგილებანი კაბინეტში, მაგრამ ამ ღონისძიებებს არ მოჰყოლია სასურველი შედეგი. გარდა ამისა, ბოლო დროს გამწვავდა მთავრობის წევრებისა და რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტთან არსებული სათათბირო ორგანოს ურთიერთობა. მაგალითად, გასულ თვეში რევოლუციურმა საბჭომ ზედიზედ მეხუთედ გამოაცხადა არაკონსტიტუციურად კანონი დენაციონალიზაციის შესახებ. ამ კანონის დამტკიცებას ლამობენ მმართველი პარტიები, რომლებიც ცდილობენ არარად აქციონ 1974 წლის რევოლუციის ძირითადი მონაპოვარნი.

პორტუგალიის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ შექმნილი ვითარება მოითხოვს მთლიანად ჩამოაცილონ ხელისუფლებას მემარჯვენე პარტიების მმართველი კოალიცია, შექმნან გარდამავალი დემოკრატიული მთავრობა და მოაწყონ პარლამენტის ვადამდელი არჩევნები.

# მტკიცე პროტესტი

### დასავლეთ ბერლინში მტრული აქციების გამო

**ბერლინი.** როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულმა მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ გრძელდება პროვოკაციები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო რკინიგზების წინააღმდეგ დასავლეთ ბერლინში, აგრეთვე არ წყდება სხვაგვარი მტრული მოქმედება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

დასავლეთ ბერლინში გამართულ შეხვედრაზე დასავლეთ ბერლინის რწმუნებულთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა დასავლეთ ბერლინის კომპეტენტურ ორგანოებს მოსთხოვა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ასეთი მოქმედების აღსაკვეთად, რაც დაძაბულობის შენელების და ურთიერთობის შემდგომი ნორმალიზაციის ინტერესებს შეესაბამება.

ახალი შემადგენლობის სენატის ყურადღება მიეპყრო იმას, რომ იგი პასუხს აგებს დასავლეთ ბერლინის გარშემო შექმნილი მდგომარეობის შემდგომი გაჯანსაღებისათვის, დასავლეთ ბერლინის თაობაზე მიღწეული ოთხმხრივი შეთანხმების განუხრელი დაცვისათვის.

## ვიეტნამი — ჩინეთი

# პროვოკაციები გრძელდება

**ჰანოი.** ჩინეთი კვლავ აძლიერებს დაძაბულობას ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ჩრდილოეთ საზღვრებზე.

აგვისტოს პირველი ათი დღის მანძილზე, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, ჩინეთის ჯარებმა არაერთგზის დაუშინეს არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი ლანგშონისა და ჰატუენის პროვინციების სასაზღვრო რაიონებს. ამ მოქმედების შედეგად დაინგრა მრავალი საცხოვრებელი სახლი, სკოლა, სამეურნეო ნაგებობა, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ნათესებს.

ჩინეთის არმიის ქვეგანაყოფები შეიჭრნენ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხოანგლიენშონისა და კუანგნინის პროვინციებში. მათ ცეცხლი დაუშინეს მშვიდობიან მცხოვრებთ, გაძარცვეს მათი ქონება, დანაღმეს გზები. კვლავ მასობრივად გზავნიან ჯაშუშებსა და დივერსანტებს ვიეტნამის სასაზღვრო რაიონებში.

ჩინეთის შეიარაღებულმა გემებმა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში მრავალგზის შეჭრის დროს სერიოზული საფრთხე შეუქმნეს ვიეტნამელ მებადურებს, რომლებიც თევზს იჭერენ სანაპირო ზონაში.

ვიეტნამის სახალხო არმია, აღნიშნავს ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, საკადრის პასუხს სცემს საზღვრის დამრღვევთ.

● ესპანეთი

# სამხედრო პროკურორის მოთხოვნა

**მადრიდი.** სამხედრო პროკურორმა, რომელიც იკვლევს მიმდინარე წლის თებერვალში ესპანეთის რეაქციული მხედრიონის მიერ მოწყობილ მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხების ცდას, მას სამხედრო ჯანყი უწოდა. პროკურორმა მოითხოვა ოცდაათი წლის პატიმრობა მიუსაჯონ შეთქმულების სამ ძირითად ხელმძღვანელს — გენერალ-ლეიტენანტ ხ. მილანს დელ ბოსკს, რომელიც მეთაურობდა ვალენსიის სამხედრო ოლქს, გენერალ ა. არმადას — არმიის შტაბის უფროსის ყოფილ მოადგილეს, აგრეთვე სამოქალაქო გვარდიის პოდპოლკოვნიკს ა. ტეხერო მოლინას — 283 კაცისაგან შემდგარი იმ ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც პარლამენტის ხელში ჩაგდების ორგანიზატორი იყო.

ამბოხების სხვა ხელმძღვანელთათვის (სულ მონაწილეობა ბრალად ედება 32 სამხედრო პირს) პროკურორმა მოითხოვა 5-დან 20 წლამდე პატიმრობა.

საბოლოო განაჩენს შეთქმულების მონაწილეებს გამოუტანენ მხოლოდ მომავალი წლის დამდეგს.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, მთავრობის დაახლოებულ წრეებში არ მალავენ შეშფოთებას იმის გამო, რომ მეამბოხეებისთვის გამოტანილმა „მეტისმეტად მკაცრმა" განაჩენმა შეიძლება მღელვარება გამოიწვიოს არმიაში, სადაც დამნაშავეებს დღემდე მრავალი მომხრე ჰყავთ.

# ირანის ამბები

**თეირანი.** თეირანის ევინის საპყრობილეში სიკვდილით დასაჯეს ირანის რამდენიმე უმაღლესი თანამდებობის ოფიცერი. ისინი ხელმძღვანელობდნენ მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებას, რომელიც გასული წლის 10 ივლისს გამოააშკარავეს და უვნებელყვეს ხელისუფლებმა.

ისლამური რევოლუციური სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ ხოჯათ-ოლ-ესლამ მ. რეიშახრიმ, განმარტა რა განაჩენის გამოტანის დაყოვნების მიზეზი, თეირანის რადიოს კორესპონდენტისადმი ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამ ბოლო დრომდე გაურკვეველი რჩებოდა შეთქმულების ხელმძღვანელთა ზოგიერთი კონტაქტი. სწორედ ისინი იცნობდნენ შეთქმულთა პრაქტიკულად მთელ აგენტურას, რომელიც უთუოდ უნდა გამოგვევლინა. უკვე მას შემდეგ, რაც ბანისადრი ირანიდან გაიქცა, განაგრძო რეიშახრიმ, შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი როკნი გამოტყდა, რომ თავდაპირველად ყოფილი პრეზიდენტი მათ სალიკვიდაციო პირთა სიაში ჰყავდათ შეყვანილი.

მაგრამ შემდეგ, უკვე შეთქმულთა უკანასკნელ სხდომებზე, გადაწყდა ბანისადრის მომხრენი გამოეყენებინათ ამბოხების დაწყების დღეს პანიკის შექმნისა და ტერორის ორგანიზაციისათვის. ამრიგად, დასძინა რეიშახრიმ, ჩვენ დავასკვენით, რომ საბოლოო ანგარიშით შეთქმულების კვალი ბანისადრისაკენ მიდის, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ირანის ყოფილმა პრეზიდენტმა ერაყთან ომის დაწყების შემდეგ ისარგებლა შექმნილი ვითარებით, აჰვაზში გაფრინდა და იქაური საპყრობილიდან გამოაშვებინა 51 შეთქმული. მათი ნაწილი შემდეგ კვლავ იქნა დაპატიმრებული და მსჯავრდადებული.

როგორც თეირანის რადიო იუწყება, ირანის პრეზიდენტმა მ. რაჯაიმ ბრალად დასდო საფრანგეთის მთავრობას, რომ იგი „დამნაშავეებს აძლევს თავშესაფარს და ამით საფრანგეთი გადააქცია ცენტრად, სადაც მზადდება შეთქმულებები ირანის რევოლუციის წინააღმდეგ".

ამ ბრალდებას შეიცავს მ. რაჯაის წერილი საფრანგეთის პრეზიდენტისადმი იმ მისალოცი დეპეშის პასუხად, რომელიც ფ. მიტერანმა რაჯაის გაუგზავნა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე არჩევის გამო.

როგორც ცნობილია, თეირანისა და პარიზის ურთიერთობა მკვეთრად გამწვავდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს პოლიტიკური თავშესაფარი მიეცათ ირანის ყოფილი პრეზიდენტის ა. ბანისადრისათვის, რომელიც ირანის პარლამენტმა გადააყენა პოსტიდან. პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა ირანში მომუშავე ყველა ფრანგს მოუწოდა დატოვონ ამ ქვეყნის ტერიტორია. ფრანგ მოქალაქეთა პირველი ჯგუფი უკვე სამშობლოში დაბრუნდა.

● გფრ

# ხელისუფალთა ნაყრუებით

### მფარველობენ ნაცისტ სამხედრო დამნაშავეებს

**ბონი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედებს 75 ნეოფაშისტური ორგანიზაცია. ეს ციფრი დაასახელა შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. ბაუმმა მოხსენებაში. მაგრამ დემოკრატიული საზოგადოებრიობა დარწმუნებულია, რომ ციფრი 75 სულ ცოტა ორჯერ უნდა გამრავლდეს. ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების — ანტიფაშისტთა კავშირის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ „მიხაკისფერთა" ორგანიზაციის ხელისუფალნი სრულიადაც არ მიაკუთვნებენ ნეოფაშისტურს. საკმარისია ჰიტლერელმა ნაძირალებმა უწყინარი სახელი დაირქვან, რომ ისინი აღარ შეაწუხონ. მაგალითად, „ჰიაგის" აზრით (ეს შემოკლება ნიშნავს ნაცვალგებაზე დამყარებული დახმარების კავშირს) მოქმედებს ყოფილ ესესელთა გაერთიანება. საარის ხელისუფალთა ნებართვითა და ფაქტობრივი მფარველობით ამ ესესელებმა თავყრილობა გამართეს საარბრიუკენში.

ჰოფმანის სამხედრო-სპორტული ჯგუფის ფორმალური აკრძალვის მიუხედავად, მას სრულიადაც არ შეუწყვეტია არსებობა: გრძელდება წვრთნა სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე, ამზადებენ „მიმდევართა ჯგუფებს". თავიანთ კაცთმოძულე საქმიანობას, რასისტულ პროპაგანდას აშკარად ეწევიან ნეონაცისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტია და „მიხაკისფერთა" სხვა ორგანიზაციები.

ყველა მათგანს ხელ-ფეხს უხსნის ის ფაქტიც, რომ დასავლეთ გერმანიის იუსტიცია პრაქტიკულად არ სჯის ნაცისტ სამხედრო დამნაშავეებს მაშინაც კი, თუ ისინი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდებიან. ამის დადასტურებაა გამამართლებელი ან ლმობიერი განაჩენები მაიდანეკის სიკვდილის ბანაკის ჯალათთა ჯგუფის საქმის გამო, აგრეთვე ის, რომ იუსტიციას ჯიუტად არ სურს პასუხისგებაში მისცეს გესტაპოს ყოფილი შეფი პრაღაში გერკე, ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ზედამხედველი ზომერი, მისი დამქაში ოტო, რომელიც გერმანელ კომუნისტთა ბელადის ერნსტ ტელმანის ერთ-ერთი მკვლელი იყო.

მართლაც რომ, უსასრულოა დამნაშავეთა სია, რომლებმაც თავი დააღწიეს სასჯელს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის მთელი წლების მანძილზე აქ პასუხისგებაში მისცეს 80 ათასზე ცოტა მეტი ნაცისტი მკვლელი, მაგრამ მათგან მხოლოდ 6 ათასი დასაჯეს.

წარსულში ჰიტლერული პარტიის წევრობა ჩვენში როდია დაბრკოლება მაღალი სახელმწიფო თანამდებობებისა და ჯილდოების მისაღებად, წერს პროფკავშირული ჟურნალი „დრუკ უნდ პაპირი". ამავე დროს თვით სიტყვა „ანტიფაშისტი" ჩვენში საეჭვოდ არის მიჩნეული. პოლიცია და მართლმსაჯულება თვალს არიდებენ მემარჯვენე ექსტრემისტების გააქტიურებას. სანამ ეს ამბები ხდება, ვერ ვიტყვით, რომ „მიხაკისფერ" წარსულს ჩვენში ბოლო მოეღო.

# მეხუთმილიონე დამთვალიერებელი

**11 აგვისტოს** ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ზღურბლს გადააბიჯა მეხუთმილიონე დამთვალიერებელმა. ეს იყო ზუგდიდის სოფლის მეურნეობის რაიონული გაერთიანების თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. კუტალია, რომელიც თბილისში მივლინებით იმყოფება. საპატიო დამთვალიერებელს გადასცეს სამახსოვრო საჩუქარი — გრამფირფიტა ვ. ი. ლენინის 1919-1921 წლების სიტყვების ჩანაწერებით.

— ჩვენი მუზეუმი მოქმედებს 1938 წლიდან, — თქვა ფილიალის დირექტორმა ფ. მახარაძემ, — და მზარდი პოპულარობით სარგებლობს რესპუბლიკის მცხოვრებთა და დედაქალაქის სტუმართა შორის. აღსანიშნავია, რომ ბოლო 4,5 წლის მანძილზე იგი მილიონმა კაცმა დაათვალიერა. (საქინფორმი).

● ●

# დაჯილდოება

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. გივი ვალერიანის ძე აბდუშელიშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ქ. თბილისი, 1981 წ. 8 აგვისტო.

# „პარტიული სიტყვა" №15

**გამოვიდა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" მიმდინარე წლის მორიგი, მეთხუთმეტე ნომერი.

იგი იწყება იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის გახსნისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვით „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა — დღევანდელი მოთხოვნების დონეზე!" აქვეა დაბეჭდილი მასალა „იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ გ. ნ. ენუქიძის მოხსენებიდან).

„კარგ გამგონეს კარგი მთქმელი უნდა". — ამ რუბრიკით ჟურნალი აქვეყნებს გორის რაიონის სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის № 6 ბრიგადის აგიტატორის თ. გაზაშვილის წერილს „კონკრეტულ საქმეზე — კონკრეტული სიტყვა!" „შუქი სიმართლისა" — ასეთია ვ. ჩეკურიშვილის წერილის სათაური. ლენინგორის რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციის, იდეოლოგიური კადრების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზეა ლაპარაკი გ. გულიაშვილის წერილში „მედგულის დამალული მხარე". ჟურნალი ამ ნომერშიც განაგრძობს მ. ლოხვიცკის პოლიტიკური რომანის „მზიანი სისხლი" ბეჭდვას. აქვეა გამოქვეყნებული ინტერვიუ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარესთან დ. პერტენავასთან.

## გამარჯვება ტაშკენტში

[illegible]

ერთ მცველს მოხვდა მის მიერ კარის მიმართულებით დარტყმული ბურთი, რომელსაც ანაზდად მიუსწრო შენგელიამ და ანგარიში გახსნა — 1:0. სტუმართა უპირატესობა საკმაოდ შესამჩნევი გახლდათ, მაგრამ ისიც მართალია, რომ მასპინძლებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, ვაჟკაცურად იბრძოდნენ მდგომარეობის გასაწონასწორებლად. შესვენებამდე თბილისელთა რამდენიმე სახიფათო იერიში კი გოლებით რომ არ დაგვირგვინდა, ტაშკენტელები ყველაზე მეტად თავიანთ მეკარეს — იანოვსკის უნდა უმადლოდნენ.

შესვენების შემდეგ მართალია, თამაშის ტემპმა იკლო, მაგრამ მასპინძლებმა მაინც თავდადებით ითამაშეს, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. თუმცა ყოველ ძნელ ვითარებაში თბილისელთა მცველებიც და მეკარე გაბელიაც მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. დინამოელთა არანაკლებ მწვავე იერიშებსაც გოლი არ მოჰყოლია და საბოლოოდ — გამარჯვება მინიმალური სხვაობით — 1:0. თბილისელებმა საპრიზო ადგილისათვის ბრძოლაში მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვეს.

„დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, სვანაძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე (მელიქია), დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

დუბლიორთა მატჩიც „დინამომ" მოიგო — 2:1. თბილისელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ცავამ.

**გუშინ** გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეხუთე ტურის კიდევ ექვსი მატჩი. გთავაზობთ შედეგებს: „სპარტაკი"-„დინამო" (მნ) — 1:0, „შახტიორი"-„ტორპედო" — 1:1, „დნეპრი"-ცსკა — 2:1, „ყაირათი"-„არარატი" — 2:1, ასკ-„ტავრია" — 3:0, „ნეფთჩი"-„ყუბანი" — 2:1.

**ლიდერთა** გათამაშების ცხრილში გუნდები ასე არიან განლაგებული:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კ) | 22 | 16 | 6 | 0 | 37-10 | 38 |
| „სპარტაკი" | 24 | 16 | 3 | 5 | 55-27 | 35 |
| „დინ." (თბ) | 23 | 11 | 7 | 5 | 41-23 | 29 |
| „ტორპედო" | 24 | 11 | 7 | 6 | 29-23 | 29 |
| „დინამო" (მ) | 24 | 11 | 6 | 7 | 33-24 | 28 |
| ცსკა | 24 | 9 | 7 | 8 | 28-25 | 25 |
| „შახტიორი" | 22 | 8 | 8 | 6 | 35-23 | 24 |
| „დინ." (მნ) | 23 | 8 | 6 | 9 | 27-26 | 22 |
| „ტავრია" | 24 | 8 | 6 | 10 | 23-33 | 22 |
| „ყაირათი" | 24 | 7 | 8 | 9 | 30-33 | 22 |
| „ნეფთჩი" | 24 | 6 | 10 | 8 | 21-35 | 22 |
| „ყუბანი" | 24 | 8 | 5 | 11 | 30-33 | 21 |
| ასკ | 24 | 6 | 8 | 10 | 24-35 | 20 |
| „ჩერნომორ". | 23 | 7 | 5 | 11 | 20-29 | 19 |
| „ზენიტი" | 23 | 6 | 7 | 10 | 23-29 | 19 |
| „არარატი" | 23 | 6 | 7 | 10 | 23-33 | 19 |
| „დნეპრი" | 23 | 7 | 4 | 12 | 29-43 | 18 |
| „ფახთაკ". | 24 | 3 | 4 | 17 | 17-41 | 10 |

გასვლითი მატჩების სერიას თბილისელები ალმა-ათაში დაამთავრებენ: 16 აგვისტოს მათი მეტოქე იქნება ადგილობრივი „ყაირათი".

• • •

## „სიჭაბუკის თასზე"

**თბილისში** გრძელდება ფეხბურთელთა ფინალური ტურნირი „სიჭაბუკის თასზე". გუშინ ამ შეჯიბრების მეორე ტურის მატჩები გაიმართა. შედეგები ასეთია: „შრომითი რეზერვები"-მოსკოვი — 1:2, ლიტვა-უკრაინა — 0:3, საქართველო-სომხეთი — 6:1. **ორი ტურის შემდეგ საქართველოსა და უკრაინის ნაკრებ გუნდებს 3-3 ქულა აქვთ,** სომხეთისა და მოსკოვის კოლექტივებს — 2-2, ლიტვისა და „შრომითი რეზერვების" ფეხბურთელებს — თითო ქულა.

—★—

## მოკლედ

**შაში.** რიგაში დამთავრდა ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. პირველობა დაისაკუთრა საბჭოთა სპორტსმენმა ოლღა ლევინამ.

**კალათბურთი.** რიო-დე-ჟანეიროში დაიწყო ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება. სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებმა პირველი შეხვედრა ზაგრების „ციბონასთან" გამართა და გაიმარჯვა ანგარიშით 104:87. ზაგრებელთა გუნდში თამაშობდა იუგოსლავიის ეროვნული გუნდის ექვსი წევრი. **საბჭოთა კალათბურთელთაგან საუკეთესო სნაიპერი იყო თბილისელი ნ. დერიუგინი, რომელმაც გუნდს 26 ქულა შეჰძინა.** ამ დღეს ბრაზილიელებმა დაამარცხეს მექსიკელები — 99:76.

**ველოსპორტი.** სლოვაკიის გზებზე მიმდინარეობს მრავალდღიანი ველორბოლა, რომლის ორი ეტაპის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა ველოსიპედისტი ანდრია ვედერნიკოვი.

რედაქტორი
ვ. ბედინეიშვილი.

# საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატი

### აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1981-1982 სასწავლო წლისათვის

[illegible]

კომბინატში მიიღებიან სრული საშუალო განათლების მქონე პირები. უფროს ბუღალტერთა მომზადებისა და დამპროექტებლების ჯგუფში შემომსვლელებისათვის აუცილებელია აღრიცხვის დარგში მუშაობის არანაკლები 3 წლის სტაჟი.

სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა.

**შენიშვნა: 1) პირველ რიგში მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც მოავლენს საწარმო (ორგანიზაცია); სწავლის ქირას იხდის საწარმო (ორგანიზაცია); 2) ინდივიდუალურად შემომსვლელთა ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების მიხედვით.**

სასწავლო კომბინატში შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება დადგენილი ფორმით (ივსება საბუთების შემოტანის დროს); ატესტატის ასლი (დამტკიცებული ნოტარიალურად), ცნობა და მომართვა სამუშაო ადგილიდან (წარმოადგენენ ალ-

**საბუთები მიიღება როგორც საწარმოებიდან (ორგანიზაციებიდან) მოვლინებულ პირთათვის, ასევე ინდივიდუალურად შემომსვლელთათვის — 20 აგვისტომდე დილის 10 საათიდან 17 საათამდე ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.**

**გასაუბრება მოეწყობა 20-დან 25 აგვისტომდე.**

მსურველები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

**მისამართი:** 380091, თბილისი, თემქის დასახლება, XI მ. რაიონი, I კვარტალი, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატი. ტელეფონი: 62-11-36, 62-05-35. ტრანსპორტი: რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან ავტობუსი № 62, ტრამვაი № 4; მეტროს სადგურ „დიდუბიდან" — ტრამვაი № 3; მეტროს სადგურ „ელექტროდეპოდან" სამარშრუტო ტაქსი № 15 — გაჩერება კინოთეატრი „სიხარული".



# საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატის

# თბილისის სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

### აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1981-1982 სასწავლო წლისათვის

**სასწავლებელი ამზადებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუღალტრებს.**

სასწავლებელში უპირატესად მიიღებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამეურნეობათაშორისო გაერთიანება) აღრიცხვის დარგის მუშაკები, რომლებსაც აქვს საშუალო განათლება და მუშაობენ პროფილით.

**შენიშვნა: კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების მიერ მოვლინებულ მოსწავლეთა გარდა სასწავლებელში ჩარიცხვა მოხდება შერჩევით.**

მოსწავლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდი ეთვლება მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟად. სწავლის ხანგრძლივობა 1 წელია.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას — 30 მანეთს და უზრუნველყოფილი იქნებიან კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინით.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამეურნეობათაშორისო გაერთიანება) მიმართვა მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ; საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატის ასლი (დამოწმებული ნოტარიუსის მიერ); დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან. იმ პირებს, რომლებსაც პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არა აქვთ, შეუძლიათ დახასიათება წარმოადგინონ იმ სკოლიდან, სადაც ისინი სწავლობდნენ; ამონაწერი შრომის ან კოლმეურნეობის წიგნაკიდან; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ავტობიოგრაფია; ორი ფოტოსურათი (ფორმა 3X4).

პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას შემსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

**საბუთები მიიღება 30 აგვისტომდე ჩათვლით.**

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებელში. მისამართი: ქ. თბილისი, თემქის დასახლება 1 კვარტალი.**



# თბილისის 74-ე ტექნიკური სასწავლებელი

### აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1981-1982 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროფესიებზე

მამაკაცის, ქალის და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავ-გამომჭრელი (ქართული სექტორი). სწავლების ვადა — 2 წელი და 5 თვე;

მამაკაცის, ქალის და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავი (ქართულ-რუსული სექტორი). სწავლების ვადა — 2 წელი;

ქალის მსუბუქი ტანსაცმლის მკერავი (ქართულ-რუსული სექტორი). სწავლების ვადა — 1 წელი და 5 თვე;

ქიმწმენდის მეაპარატეები და ლაქის ამომყვანები (ქართული სექტორი). სწავლების ვადა — 1 წელი და 5 თვე;

რადიო-ტელევიზორების მომსახურე და შემკეთებელი მექანიკოსები (ქართული სექტორი). სწავლების ვადა — 2 წელი და 5 თვე (აღნიშნულ სპეციალობაზე მიიღებიან სოფლის ახალგაზრდები, რომლებსაც დამატებით მიეცემათ მესამე კლასის მძღოლის მოწმობა);

რადიო-ტელევიზორების მომსახურე და შემკეთებელი მექანიკოსები (ქართული სექტორი), სწავლების ვადა — 2 წელი;

საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროხელსაწყოების შემკეთებელი ზეინკალ-ელექტრიკოსები (ქართული სექტორი). სწავლის ვადა — 2 წელი (აღნიშნულ სპეციალობაზე შემსვლელნი დამატებით მიიღებენ მესამე კლასის მძღოლის მოწმობას).

სასწავლებელი ამზადებს ახალგაზრდა კვალიფიციურ კადრებს საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ობიექტებისათვის.

სასწავლებელში ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭებათ იმ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ მომართვებს ზონალური დირექციებიდან (რადიოტელევიზიის სპეციალობაზე) და საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონული სამმართველოებიდან.

**შენიშვნა:** სამკერვალო სპეციალობაზე შემსვლელნი ძირითად პროფესიასთან ერთად დამატებით შეისწავლიან ქართული ეროვნული ტანსაცმლის (ჩოხა, ახალუხი, ქართული კაბა) კერვას.

**სასწავლებელში მიიღებიან** 17-დან 30 წლამდე ასაკის საშუალო განათლების მქონე ორივე სქესის ახალგაზრდები.

სასწავლებელში ჩარიცხულ ახალგაზრდებს მიეცემათ სტიპენდია დადგენილი წესით, აგრეთვე საწარმოო პრაქტიკაზე გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი. ფრიადოსნებს სტიპენდია 25 პროცენტით უდიდდებათ. ქიმწმენდის მეაპარატეთა სპეციალობის მოსწავლეებს ეძლევათ თვეში 70 მანეთი სტიპენდია.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს (გამოშვების 10 პროცენტის ფარგლებში), რომლებსაც „ფრიადი" შეფასება ექნებათ ყველა საგანში და წარმატებით ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიეცემათ უფლება შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლის დღის განყოფილების შესაბამის სპეციალობაზე უშუალოდ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

კურსდამთავრებულები, რომლებსაც ექნებათ წარჩინების დიპლომი, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ იმ უპირატესობით, რომელიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ოქროსმედალოსან ან საშუალო-სპეციალური სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულთათვის.

სასწავლებელში სწავლის დრო ითვლება უწყვეტ შრომით სტაჟად.

მოსწავლეები ჩაირიცხებიან მიმღებ კომისიაზე გასაუბრების წესით.

**განცხადებები მიიღება 30 აგვისტომდე 9 საათიდან 17 საათამდე, ყოველდღე გარდა კვირისა.**

**სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს.**

**სასწავლებელში შემსვლელებმა** დირექტორის სახელზე განცხადებას უნდა დაურთონ შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); დაბადების მოწმობა (დედანი); დახასიათება; ავტობიოგრაფია; ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, (ფორმა № 286); 4 ცალი ფოტო (3X4).

პასპორტს და სამხედრო ბილეთს (მიწერის მოწმობას) წარმოადგენენ პირადად.

**სასწავლებლის მისამართი: თბილისი, საქარხნო რაიონი, ჰეჟინაძის ქ. № 10.** ავტობუსი: № 10 — მეტრო „სამგორიდან", № 51 — მეტრო 26 კომისრებიდან, № 16 — კოლმეურნეობის მოედნიდან. სამარშრუტო ტაქსი № 5 — კოლმეურნეობის მოედნიდან. ტელეფონი: 71-32-35; 71-21-20.

# ქ. თბილისის ახლად გახსნილი № 150 ტექნიკური სასწავლებელი

### აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1981-82 სასწავლო წლისათვის

**სასწავლებელი ამზადებს შემდეგი პროფესიის სპეციალისტებს:**

1. რადიოაპარატურისა და ხელსაწყოების მემონტაჟე;
2. განათების გამანათებელი, ძალოვანი ქსელის ელექტროდანადგარების ელექტრომემონტაჟე;
3. მექანიკურ სამუშაოთა ამწყობი ზეინკალი;
4. ხარატი;
5. ავტოშემკეთებელი ზეინკალი.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები პერსონალური საგზურით სამუშაოდ განაწილდებიან სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში" და სხვა ობიექტებზე შესაბამისი სპეციალობის მიხედვით, რაც მათ უფლებას მისცემს ჩაეწერონ ქ. თბილისში.

**სასწავლებელში მიიღებიან** საშუალო განათლების მქონე 17-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 10 თვეა.

სწავლის პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებულ თანხას საერთო წესით.

სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებსაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების 75 პროცენტში აქვთ შეფასება „ფრიადი" და საკვალიფიკაციო გამოცდები ჩააბარეს „ფრიადზე", არიან სანიმუშო ყოფაქცევის და თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ მუშაობაში, ეძლევათ წარჩინების დიპლომი და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ოქროს მედალოსნის ან სპეციალური სასწავლებლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა უფლებებით, ხოლო იმ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც ყველა საგანში აქვთ „ფრიადი" და „კარგი" შეფასება და წარმატებით ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (გამოშვების ათამდე პროცენტი), უფლება აქვთ შევიდნენ უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილების შესაბამის სპეციალობაზე. დანარჩენ კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ სწავლა გააგრძელონ საღამოს ან დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ფრიადოსნები სწავლის პერიოდში იღებენ 25 პროცენტით გაზრდილ სტიპენდიას. ვაჟებს ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გადავადება 1 წლით.

სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.

**სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.**

**საბუთები მიიღება 31 აგვისტომდე დილის 9-დან 17 საათამდე, კვირა დღის გარდა.**

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგ საბუთებთან ერთად: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); დაბადების მოწმობა (დედანი); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ავტობიოგრაფია; ექვსი ცალი ფოტოსურათი (3X4).

პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა უნდა წარმოადგინონ პირადად.

**სასწავლებლის მისამართია:** ქ. თბილისი, კამოს ქ. № 37, (ქორწინების სახლის გვერდით). ტელეფონი: 95-60-78. ტრანსპორტი: ავტობუსი 73, 67, 40, 4, 42, 15; ტროლეიბუსი 1, 14; სამარშრუტო ტაქსი 14, 30.





# ცისფერ ეკრანზე

## საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

### 17 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე", 18.00 — „ჩვენი საზაფხულო კინოდარბაზი" — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეკარე", 18.50 — განცხადებები, 18.55 — გადაცემა „ცვლა", 19.25 — კამერული მუსიკის კონცერტი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე", 20.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 21.05 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ალმა-ათის „ყაირათი" — თბილისის „დინამო". 16 აგვისტოს მატჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: მოსკოვის „სპარტაკი" — ლენინგრადის „ზენიტი" მეორე ტაიმი (მ.), 23.20 — „მოამბე".

**მეორე პროგრამით:** 18.35 — განცხადებები, 18.40 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი — „ჩრდილები შუადღისას ქრებიან" მეექვსე სერია.

### 18 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე", 10.30 — ლიტერატურული ჟურნალი „ხომლი". 18.00 — „ჩვენი საზაფხულო კინოდარბაზი" — მულტიპლიკაციური ფილმი — „განშორებულნი", 18.50 — განცხადებები, 18.55 — ბავშვებისათვის — „ნორჩი ტექნიკოსები", 19.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მორშინი". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — ძველებური რუსული რომანსები რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნანი ბრეგვაძის შესრულებით (მ.), 20.25 — „მოამბე", 20.55 — გადაცემა ანტუან დე სენტ ეგზიუპერი. ახალგაზრდობისათვის — „ცხოვრება კაცისა", 21.55 — მუსიკალური შესვენება. 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სპორტის რიგებში", 22.45 — „მოამბე", 23.00 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში: ჩეხოსლოვაკიისა და ევროპის ნაკრები გუნდები (პრაღიდან).

**მეორე პროგრამით:** 18.40 — განცხადებები, 18.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი — „ჩრდილები შუადღისას ქრებიან". მეშვიდე სერია.

### 19 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე", 18.00 — „ჩვენი საზაფხულო კინოდარბაზი" — ქართული მულტიპლიკაციური ფილმები: „ონავარი", „ბაბუაწვერა", 18.30 — ბავშვებისათვის — „მცირე აკადემია", 19.20 — მულტიპლიკაციური ფილმი „პატარა გოგონა და ავტომობილი". 19.30 — „საბჭოური ცხოვრების წესი" — „პირველი დირექტორი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — დ. კლდიაშვილი — „ირინეს ბედნიერება". საქართველოს ტელევიზიის დადგმა. 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — ფეხბურთი „სიჭაბუკის თასზე". საქართველოსა და ლიტვის ნაკრები გუნდები. მეორე ტაიმი, 23.15 — „მოამბე".

**მეორე პროგრამით:** 18.35 — განცხადებები, 18.40 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი — „გამოუსწორებელი მეოცნებე".

### 20 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე", 18.00 — „ჩვენი საზაფხულო კინოდარბაზი" — ქართული მხატვრული ფილმი „არდადეგები", 19.05 — „ხალხური შემოქმედება" — „სხალთის ხეობის საუნჯე", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.); 20.00 — „მოამბე", 20.30 — ახალგაზრდობისათვის — კინოგადაცემა „დებიუტი", 21.40 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქორწილი", 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — საესტრადო კონცერტი „სტარტს ვიღებთ სიმღერით", 23.25 — „მოამბე".

**მეორე პროგრამით:** 18.40 — განცხადებები, 18.45 — მხატვრული ფილმი „ორი ღიმილი".

### 21 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე", 18.00 — „ჩვენი საზაფხულო კინოდარბაზი" — მულტიპლიკაციური ფილმი „კურდღელი, ჭრაჭუნა და ვიოლინო", 18.30 — განცხადებები, 18.35 „მეგობრობის ფურცლები" (განმეორებით), 19.25 — „რედაქციაში წერილი მოვიდა" — „რატომ დაიწერა კოლექტიური განცხადება", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — კინოეტიუდი „ქალაქი ზაფხულში", 20.10 — ევროპაში სამხედრო წონასწორობის შესახებ (მ.), 20.35 — „მოამბე", 21.05 — „ქალი ქარიშხლის ფრთებზე" — საფო მგელაძე (განმეორებით), 21.50 — უფროსებისათვის — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „ისევ მოდეზე", 22.00 „ვრემია" (მ.), 22.35 — „პირველად ჩვენს ეკრანზე" — მხატვრული ფილმი „პანი მარია", 24.00 — „მოამბე".

**მეორე პროგრამით:** 18.10 — განცხადებები. 18.15 — მხატვრული ფილმი „წელიწადის მეხუთე დრო".

### 22 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე", 10.30 — „ცეროდენას ეკრანი", 10.50 — „ათი ათასად ზრდილობა"... (განმეორებით), 11.35 — „ჩვენი საზაფხულო კინოდარბაზი" — ქართული მხატვრული ფილმი „დიდედები და შვილიშვილები", 12.55 — „თბილისი და თბილისელები", 13.25 — ისტრადის მოყვარულთათვის — „ახალი გრამფირფიტები", 14.05 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „პირველი მელიორატორები", 14.45 — „ახალგაზრდების ხელოვნება" — მღერის მარიკა მაღლაფერიძე", 15.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.55 — „ხალხური შემოქმედება" — ჩვენი სტუმარია ანსამბლი „დილა", 16.45 — „ცხოველთა სამყაროში" (მ.), 17.45 — „ყრილობაზე ითქვა, რა კეთდება" — გადაცემა „დარგში საუკეთესო", 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.35 — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა. ეძღვნება რუმინელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს (მ.), 19.50 — გაზეთ „პრავდის" პოლიტიკური მიმომხილველის ი. ჟუკოვის საუბარი საერთაშორისო თემაზე (მ.), 20.35 — „მოამბე". 21.05 — ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი. 21.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პალიასტომი", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი — „მაია წყნეთელი".

### 23 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 10.00 — „მოამბე", 10.30 — „მაღვიძარა" (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები", 11.45 — „პოეზიის ხუთი წუთი", 11.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — „პოეზიის ხუთი წუთი", 13.20 — ბავშვებისათვის — „მხიარული შეხვედრა" (განმეორებით), 14.05 — „კინოაფიშა", 14.30 — „ჩვენი სპორტის პრობლემები" — „სასპორტო სროლა". 15.10 — „პოეზიის ხუთი წუთი". 15.15 — „შუქი სულისა" — მიხეილ სოლოღაშვილი (განმეორებით), 15.40 — „ვესტნიკი", 16.10 — „ილუზიონი", 18.40 — „პოეზიის ხუთი წუთი", 18.45 — კინონარკვევი, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.), 19.45 — „პოეზიის ხუთი წუთი", 19.50 — ფილმი-კონცერტი „ლაურეატები", 20.30 — „მოამბე", 21.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში პირველი ლიგის გუნდებს შორის: მოსკოვის „ლოკომოტივი" — ლანჩხუთის „გურია". მეორე ტაიმი (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „სატელევიზიო თეატრი". ა. მხეიძე „არჩევანი მე". პრემიერა, 23.05 — კონცერტი „მელოდია".

## ტელევიზია

### 14 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე", 10.30 ჩვენი ლაშქარი. გივი ეხვაია, 11.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სულა — ტუნდრის მდინარე", 11.15 — აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი (მ.), 18.00 — „ჩვენი საზაფხულო კინოდარბაზი" — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვასიუკოვკელი ტორეადორები", 18.30 —ბავშვებისათვის „მობურთალსა მოედანი", 19.05—„ყრილობაზე ითქვა—რა გაკეთდა" — „მთავარი რეზერვი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ტაშკენტის „ფახთაქორი" — თბილისის „დინამო". 13 აგვისტოს მატჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი. 23.20 — „შემოქმედებითი პორტრეტები" — ეკატერინე ვერულაშვილი, 00.10 — „მოამბე".

**მეორე პროგრამით:** 18.40 — განცხადებები, 18.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი. „ჩრდილები შუადღისას ქრებიან", მეხუთე სერია.

# თბილისის № 97 ტექნიკური სასწავლებელი

### აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1981-82 სასწავლო წლისათვის

**შემდეგ სპეციალობებზე:** რადიომემონტაჟე, მექანიკური სამუშაოების ამწყობი ზეინკალი, ზეინკალ-შემკეთებელი, ბეჭდვითი სქემებისა და სკალების ტრაფარეტების დამამზადებელი, ელექტროდანადგარების მომსახურე ელექტრომონტიორი და მიმღები კონტროლიორები (გოგონებისათვის).

**სასწავლებელში ჩაირიცხებიან** 17-დან 30 წლამდე ასაკის საშუალო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები განაწილდებიან სპეციალობის მიხედვით სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში".

მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას და გამომუშავებულ თანხას დადგენილი წესით.

სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია.

სასწავლებელში ჩარიცხვა ხდება გასაუბრებითა და საშუალო სკოლის ატესტატის ნიშნების მიხედვით. უპირატესობით სარგებლობენ სამამულო ომისა და შრომის ინვალიდთა, აგრეთვე პროფტექგანათლების სისტემის მუშაკთა შვილები.

მოსწავლე ვაჟები სწავლის პერიოდში თავისუფლდებიან საბჭოთა არმიაში გაწვევიდან.

სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულები უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ იმ უპირატესობებით, რომლებიც დადგენილია საშუალო სკოლის ოქროს მედალოსან ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულთათვის, ხოლო იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში აქვთ ფრიადი და კარგი შეფასება და წარჩინებით ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (გამოშვების 10 პროცენტამდე) უფლება აქვთ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევიდნენ დღის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში შესაბამის სპეციალობაზე.

დანარჩენ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, შეუძლიათ მოეწყონ უმაღლესი სასწავლებლის საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე არსებული წესების საფუძველზე.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი); დაბადების მოწმობა (დედანი); დახასიათება, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6 ცალი ფოტოსურათი (ზომა 3X4), სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი, და პასპორტი.

**სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.**

**განცხადებები მიიღება დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე.** კვირის გარდა.

**დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ სასწავლებლის მიმღებ კომისიაში.**

**სასწავლებლის მისამართია:** ჯიქიას ქ. № 3. მმართველი გამომთვლელი მანქანების ქარხანა. ტელეფონი: 31-21-76, 31-93-31, 31-93-29. ტრანსპორტი: ავტობუსი № 2, 47, 67 — ბოლოსწინა გაჩერება, ხოლო ავტობუსი № 20, 49, 53 და ტროლეიბუსი № 4, 5, 6, 12, 14 ვაჟა-ფშაველას ბოლო გაჩერება.

# მონადირეთა საყურადღებოდ!

## საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1981-82 წლის სანადირო სეზონის ნადირობის ვადები და წესები



### ნადირობა ნებადართულია შაბათობით და კვირაობით

1. მწყერზე, მტრედზე, ქედანზე, გვრიტზე, გოჭაზე, ჩიბუხაზე, კრონშნეპზე, ღალღაზე და ჭაობის ქათამზე — **22 აგვისტოდან 1 ნოემბრამდე.**

**შენიშვნა:** ა) დასავლეთ საქართველოში მწყერზე ნადირობა, როგორც გამონაკლისი, ნებადართულია ყოველდღიურად. ბ) მწყერზე ნადირობა, როგორც გამონაკლისი, დაიშვება მდ. ლოჭინის ხევის მარცხენა მხარეს.

2. ტყის ქათამზე — **10 ოქტომბრიდან 20 დეკემბრამდე.**

3. წყლის ფრინველზე (ყველა სახეობის იხვი, ბატი, მელოტა) — **14 ნოემბრიდან 1 მარტამდე.**

**შენიშვნა:** ა) მაღალმთიან რაიონებში (ახალქალაქი, წალკა, ბოგდანოვკა) წყლის ფრინველზე ნადირობა დაიშვება **12 სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე.** ბ) ჯანდარის ტბაზე წყლის ფრინველზე ნადირობა დაიშვება **1 ნოემბრიდან 1 თებერვლამდე.** გ) წყლის ფრინველზე ნადირობა, როგორც გამონაკლისი, ნებადართულია კუმისის ტბაზე.

4. მაჩვზე — **8 ოქტომბრიდან 1 მარტამდე.**

5. კვერნაზე და ყველა სახეობის ციყვზე — **15 ნოემბრიდან 1 მარტამდე.**

**შენიშვნა:** კვერნაზე ნადირობა შეუძლიათ მხოლოდ იმ მონადირეებს, რომლებსაც ხელშეკრულება ექნებათ დადებული შესაბამის დამამზადებელ ორგანიზაციებთან, მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებთან შეთანხმებით.

6. გარეულ ღორზე ნადირობა დაიშვება ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სპეციალური ნებართვით — სასელექციო გამოხშირვის მიზნით — **1 ნოემბრიდან 1 იანვრამდე.**

7. მტაცებელ ნადირზე (მგელი, ტურა, გარეული კატა, მელა, ენოტისებრი ძაღლი) — **22 აგვისტოდან 1 მარტამდე, ხოლო 1 მარტიდან ნადირობა დაიშვება კოლექტიურად მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების და ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორის ნებართვით.**

**შენიშვნა:** დათვზე ნადირობა ნებადართულია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სპეციალური ნებართვით, თუ დადასტურებულია, რომ იგი ზიანს აყენებს მეცხოველეობას და ნათესებს.

8. **ერთ ნადირობაზე მონადირეს ნება ეძლევა მოიპოვოს:** ყველა სახეობის წყლის ფრინველი — საერთო რაოდენობით არა უმეტეს 10 ცალისა, მწყერი — არა უმეტეს 20 ცალისა, ტყის ქათამი — არა უმეტეს 10 ცალისა, გოჭა — არა უმეტეს 20 ცალისა, დანარჩენი ნებადართული ფრინველები — 5-5 ცალი.

9. **აკრძალულია ნადირობა მთელი წლის განმავლობაში:** ირემზე, ნიამორზე, ჯიხვზე, არჩვზე, ქურციკზე, შველზე, კურდღელზე, აფთარზე, ფოცხვერზე, წავზე, დედოფალაზე, ნუტრიაზე, ხოხობზე, გნოლზე, კაკაბზე, შურთხზე, დურაჯზე, როჭოზე, სარსარაკზე, სავათზე, თეთრ ყანჩაზე, წითელყელა ბატზე, გედზე, ყარყატზე, კოდალაზე, გუგულზე, შევარდენზე, შაშვსა და ყველა სხვა მგალობელ ფრინველზე.

10. **აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა:** სახელმწიფო ნაკრძალებში და მათ გარშემო ორი კილომეტრის ზონაში, მდ. ივრის ორივე ნაპირას, 3 კმ ზონის ფარგლებში — საგარეჯოს რაიონის კახეთის ძველ გზაზე მდებარე ივრის ხიდიდან აზერბაიჯანის სსრ საზღვრამდე, ლანჩხუთის რაიონში „იმნათის" ტერიტორიაზე, პალიასტომის ტბაზე და მისი ნაპირებიდან ერთ კილომეტრიანი რადიუსით, თბილისის ზღვაზე, ლისის და კუს ტბებზე, მდ. მტკვრის ორივე ნაპირას — ქ. მცხეთიდან ქ. რუსთავამდე, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის აფხაზეთის სატყეო საცდელი სადგურის (ოჩამჩირის რაიონი) ტერიტორიაზე.

11. **აკრძალულია ნადირობა საქართველოს შემდეგი ქალაქების და კურორტების გარშემო:** ქ. თბილისის საზღვრებში და საზღვრებიდან 15 კმ ზოლის ფარგლებში, ქ. სოხუმის 5 კმ რადიუსით ქალაქის საზღვრებიდან, ქალაქების ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის 3 კმ რადიუსით ქალაქის საზღვრის ხაზიდან, ქალაქების ჭიათურის, რუსთავის, ტყიბულის, ზესტაფონის 2 კმ რადიუსით— ქალაქის საზღვრის ხაზიდან, ბორჯომის და ბაკურიანის სატყეო მეურნეობის მთელი ტერიტორიის ფარგლებში გარდა ბორჯომის რაიონის სოფლების მაჭარწყალის, ახალდაბის, გუჯარეთის, ციხისჯვრის, ტაძრისის, დიდი და პატარა მიტარბის სამონადირეო სავარგულებისა. კურორტების: გაგრის, წყალტუბოს, ქობულეთის 2 კმ რადიუსით ქალაქის საზღვრის ხაზიდან.

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის „მონკავშირის" სარაიონთაშორისო კომპლექსური მიწერილი სამონადირეო მეურნეობების: ალაზნის, ჭიაურის, დიდგორის, საირმის და ჩაქვისთავის ტერიტორიაზე ნადირობა დაიშვება კოლექტიურად მეურნეობის დირექციის ნებართვით.

12. **ნადირობით მოპოვებული ძვირფასბეწვიანი ნადირის ტყავის სახელმწიფოსათვის ჩაბარება სავალდებულოა.**

**აკრძალულია ყოველგვარი ნანადირევი პროდუქციის ხელზე გაყიდვა.**

**საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 14540 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.